

თვითმმართველობის რეფორმა იწყება A2



პრესომბუდსმენი A3



სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი 19 ოქტომბერს დაიწყება A5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ორშაბათი, 5 სექტემბერი, 2005 წელი. №198 (1058)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# შალვა რამიშვილის სკანდალი

ეკა კვესიტაძე

იმას, რაც გასულ კვირას სკანდალის თემა გახდა, აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს და, ალბათ, კიდევ კარგა ხანი არც დაკარგავს. რამიშვილი-ბექაურის შემთხვევის განხილვაში ერთნაირად ჩაერთვნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და საზოგადოება, თუმცა მათი ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო.

ამ შემთხვევამ, ბუნებრივია, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეფასებათა სრული პოლარიზაცია გამოიწვია.

ოპოზიციურმა პარტიებმა ის, როგორც მოსალოდნელი იყო, ანტისახელისუფლებო კამპანიის გასახურებლად გამოიყენეს და შესაბამისად, ხელისუფლების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებისა და შეფასებების მაქსიმალური უტრირება მოახდინეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



შალვა რამიშვილის სასამართლო პროცესი.

# ცივილიზაციათა შეხლა საქართველოში

დავით დარჩიაშვილი
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

"მასონებო, წადით", "აგენტებო, წადით", "სოროსის ხელისბიჭებო, წადით" - ესაა შეძახილთა შედარებით ზომიერი ნაწილი, რაც უკვე მესამე თვეა, ყოველი სამუშაო დღის 2-დან 5 საათამდე ესმის ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" თანამშრომლებს და ფონდის მეზობლად მცხოვრებელ ასობით ადამიანს. შეძახილების ორკესტრანტი მანანა არჩვაძე-გამსახურდიაა, შემსრულებლები 50-70 კაცი და ქალი, რომლებიც ქ-ნ მანანას ქალბატონად თუ დედოფლად მოიხსენიებენ, ხელზე კოცნიან და, როგორც მათივე წარმომადგენლებისაგან ფონდის თანამშრომლებს არაერთხელ მოუსმენიათ, მწირ, მაგრამ საერთო სიდუხჭირის ფონზე, საკმარის გასამრჯელოსაც იღებენ.

გაგრძელება A4 გვერდზე




"საპროტესტო შეკრება" სოროსის ფონდთან.

# ნიუ ორლეანი - ქალაქი-მოჩვენება

### სტიქიით დაზარალებული ქალაქის რეაბილიტაცია ზაფხულში დაიწყება

წყლით დაფარული ნიუ-ორლეანი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ქარიშხალი "კატრინა" დაატყდა თავს, სულ ცოტა, 9 თვის განმავლობაში საცხოვრებლად უვარგისი იქნება. როგორც ბრიტანული გაზეთი "ინდიფენდენტ"-ი იუწყება, ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა ორი წლით უსახლკაროდ დარჩება.

აშშ-ს საგანგებო სიტუაციათა ფედერალური სააგენტოს თანამშრომლის დენ კრეიგის განცხადებით, ქარიშხალ "კატრინას" შედეგად წყლით დაფარული ქალაქის აღდგენა 2006 წლის ზაფხულამდე არ დაიწყება. ნიუ-ორლეანის ქუჩებიდან წყლის ამოქაჩვის პროცესი, სულ მცირე, ექვს თვეს მაინც გასტანს, კიდევ სამი თვე კი წყლით დაფარული ტერიტორიების გაშრობას დასჭირდება.

გაგრძელება A3 გვერდზე



წყლის ამოქაჩვის პროცესი ექვს თვეს მაინც გასტანს.

# გლობალური კატაკლიზმები - ქართველი მძღოლების წინააღმდეგ

### რატომ ძვირდება საწვავი?

*ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში საწვავის ფასი თითქმის გაორმაგდა. მომხმარებლებში სრული გაურკვევლობა სუფევს - რა იწვევს ბენზინზე ფასების ასეთ კატასტროფულ ზრდას და როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი? ამას თბილისში სხვადასხვა ახსნას უძებნიან. ექსპერტთა ნაწილი იმპორტიორებისკენ იშვერს ხელს, იმპორტიორები კი - საბაჟოსკენ, სადაც, მათი თქმით, შეძენილი ნავთობპროდუქტების დატაცება ხდება. სხვა ექსპერტები მიზეზებს საქართველოს გარეთ - მექსიკის ყურის სანაპიროებზე ეძებენ. ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სააგენტოში კი მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედებით, მათ შორის, მსოფლიოში მომხდარი კატაკლიზმებითაა გამოწვეული.*

დიანა ჩაჩუა

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარის ანდრო კოტეტიშვილის პროგნოზით, საწვავზე ფასების დასტაბილურება ორ კვირაშია მოსალოდნელი. მისი აზრით, შექმნილი სიტუაცია რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით არის გამოწვეული. კერძოდ, ამის მიზეზია საწვავზე ფასების გეგმაზომიერი ზრდა, მსოფლიოში მომხდარი კატაკლიზმები, ქვეყანაში საწვავზე მოთხოვნილების ზრდა და შიდა ბაზარზე შექმნილი დეფიციტი.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კოტრიკაძე იმ ექსპერტთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასების მომატება საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების გამოძახილია. მისი თქმით, საქართველოში ნავთობპროდუქტების 95 პროცენტი იმპორტირებულია, ამიტომ საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესები საქართველოზეც აისახება.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტი ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა მხრიდან საქართველოს ბაზარზე დეფიციტის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავს და ამბობს, რომ მსხვილი კომპანიების მხრიდან ამგვარი რამ გამორიცხულია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# თვითმმართველობის რეფორმა იწყება

*ხელისუფლება თვითმმართველობის სფეროში რეფორმებს იწყებს. უკვე დასრულების სტადიაშია ორგანული კანონის პროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", რომელიც განსახილველად პარლამენტს სულ მალე წარედგინება. ექსპერტთა ჯგუფი, რომელშიც, პოლიტიკოსებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიან, ამჟამად ამ დოკუმენტის ცალკეული მუხლების დახვეწაზე მუშაობს. კანონპროექტი შემუშავდა ეფექტური მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიაში, რომელსაც დეპუტატი ვანო ხუხუნაიშვილი უდგას სათავეში.*

გიორგი ასანიშვილი

ორგანული კანონის პროექტი რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის სამინისტროს შექმნას ითვალისწინებს. ამ უწყებამ უნდა უზრუნველყოს რეგიონების განვითარების ხელშეწყობა, დაარეგულიროს ურთიერთობები ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის, ზედამხედველობა გაუწიოს ადგილობრივ თვითმმართველობებს...

**"რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის სამინისტრო უნდა იყოს მედიატორი, ერთი მხრივ, მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის და, მეორე მხრივ, მთავრობასა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც საქართველოში რეგიონული დახმარების პროგრამებს ახორციელებენ,"** - მიიჩნევს ვანო ხუხუნაიშვილი.

თვითმმართველობის თემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებთან. ამდენად, ბუნებრივია, რომ პარალელურად მუშაობა მიმდინარეობს შესაბამის კანონპროექტზე, რომელიც ასევე მალე დასრულდება. აღნიშნულმა დოკუმენტმა თვითმმართველობებისთვის ტერიტორიული "საფუძვლების" შექმნა უნდა უზრუნველყოს. თუმცა, ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის შედარებით დიდი ტერიტორიული ერთეულების (აფხაზეთი, აჭარა, ცხინვალის რეგიონი) სტატუსის განსაზღვრა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ამ საკითხის ბოლომდე გადაჭრა, ცხადია, შეუძლებელი იქნება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უმრავლესობა ბექაურით არ დაინტერესებულა

*ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი გუშინ ბორჯომის კინოთეატრი გახდა, სადაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა და პრეზიდენტმა დახურულ კარს მიღმა ორსაათნახევარი ისაუბრეს.*

სოფო ბუკია

სენსაცია არ შედგა - პრეზიდენტისა და საპრეზიდენტო ფრაქციის სასაუბრო თემა გუშინ ბექაურისა და რამიშვილის ისტორია არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, შეხვედრიდან გამოსული უმრავლესობის წევრები ასე ამბობდნენ.

როგორც დეპუტატები აცხადებენ, პრეზიდენტი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე განსახილველ საკითხებს შეეხო, 27 აგვისტოს ინციდენტი კი მხოლოდ ზოგადად ახსენა.

საპარლამენტო უმრავლესობა ორმოცი წუთის განმავლობაში ისმენდა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას, რომელსაც, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, არც ერთი ტელეკამერა არ იღებდა. ელენე თევდორაძე, რომელიც ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, რომ "ბექაურთან კითხვები აქვს", შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. **"იმ ცნობილ ინციდენტზე არ გვისაუბრია, მაგრამ ეს ძალიან საქმიანი შეხვედრა იყო,"** - აღნიშნა თევდორაძემ.

შეხვედრა უკომენტაროდ დატოვა თავად 27 აგვისტოს ინცინდენტის "გმირმა" კობა ბექაურმა, რომელმაც საუბრის თემასთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებს მხოლოდ ღიმილი შეაგება.

გიორგი არველაძის თქმით, გუშინდელი შეკრება საკმაოდ პროდუქტიული იყო, რადგან **"პრეზიდენტმა და უმრავლესობამ მთელი რიგი სამომავლო ინიციატივებისა და საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ"** ისაუბრეს. ბესო ჯუღელს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ **"ისეთი შთაბეჭდილება დარჩა"**, რომ **"საქართველოში ქრთამის აღების უფლება არავის აქვს"**.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამბები

### თბილისის აეროპორტის მშენებლობას "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმი განახორციელებს

"ეს კანონდარღვევაა," - აცხადებს "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე

A2

## ამბები

### ქუთაისი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სამაგალითო იქნება

ქუთაისის ახალი საპყრობილის თანამშრომელთა შერჩევის პროცესი დასკვნით ფაზაში შევიდა. კონკურსის პირველ ორ ეტაპზე წარმატებით გასული პირების გადამზადება უკვე დაიწყო.

A3

## ამბები

### გატაცებული მოზარდი შინ თავად დაბრუნდა

მიუხედავად სამართალდამცველთა მტკიცებისა, რომ მოზარდი გატაცებული არ იყო, ცაციაშვილი ამბობს, რომ ის ოსი ეროვნების პირებს ჰყავდათ გატაცებული და გამოქცევა შემთხვევით მოახერხა.

A3

## უცხოეთი

### ირანი აშშ-ს საერთაშორისო ორგანიზაციებზე ზეწოლაში ადანაშაულებს

ვიზების გაუცემლობის გამო, ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ უკვე ოფიციალურად გამოხატა აშშ-ს ხელისუფლების მიმართ პროტესტი.

A5

## ამინდი

| | 5/09 | 6 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 26 |
| ტყიბული | 17 | 22 |
| სოხუმი | 21 | 23 |
| დმანისი | 15 | 21 |
| გორი | 16 | 22 |
| ონი | 12 | 17 |
| ზუგდიდი | 21 | 24 |
| ახმეტა | 23 | 26 |
| გაგრა | 21 | 22 |
| სამტრედია | 20 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1895 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2002 |
| რუბლი | 0.0628 |

ამბები A 2
ამბები A 3
საზოგადოება A 4
უცხოეთი A 5
ტენდერი A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8

# უმრავლესობა ბექაურით არ დაინტერესებულა

პირველი გვერდიდან

საკუთარი შთაბეჭდილებები კი პრეზიდენტმა ჟურნალისტებს ბორჯომის ცენტრში ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნის დროს გააცნო. **"ჩვენ გვყავს კონსოლიდირებული, მოტივირებული უმრავლესობა, რომელიც დემოკრატიულ ამოცანებს კარგად ასრულებს,"** - კმაყოფილია მიხეილ სააკაშვილი.

ილია ჭავჭავაძის ძეგლის საზეიმოდ გახსნის პატივი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესა და შვიდი წლის ბორჯომელ მერი ციხელაშვილს ერგო. მიხეილ სააკაშვილმა ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების იდეოლოგი უწოდა და აღნიშნა, რომ **"დღეს ნათელია, საიდან მოვდივართ, რა ეტაპები გვაქვს გასავლელი და სად მიდის საქართველო".**

ბორჯომის განახლებულ პარკში დამსვენებლებთან შეხვედრისა და ბავშვებთან შეთამაშების შემდეგ პრეზიდენტი ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში გაემგზავრა, სადაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა.

ქართველმა დიპლომატებმა პრეზიდენტისგან გუშინ შემდეგი სიტყვები მოისმინეს: **"დღეს საქართველოსთვის ყველაზე მთავარი უცხოელი ინვესტორების მოზიდვაა. ელჩი, რომელიც ვერ მოიტანს ინვესტიციებს, ამ თანამდებობაზე დიდხანს არ გაჩერდება... ელჩების მუშაობის შეფასება ყოველწლიურად მოხდება და შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იქნება მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა... ჩვენ კონკრეტული შედეგები გვჭირდება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი ლიკანიდან თბილისში დღეს ჩამოვა. დღესვე იგი ნინოწმინდისკენ აიღებს გეზს, სადაც სომხური სკოლის გახსნას დაესწრება.

# "თბილავიამშენი" ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოწონებას იმსახურებს

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ გუშინ კომპანია "თბილავიამშენი" მოინახულა. მისი შეფასებით, ეს არის ერთ-ერთი წარმატებული საწარმო საქართველოში. "კარგი იქნება, თუ სხვა საწარმოებიც მის მაგალითს მიბაძავენ. აქ თავმოყრილია ქართული ტექნიკური და სამეცნიერო პოტენციალი," - ასე შეაფასა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ამ ცოტა ხნის წინ პანტიკო თორდიას ბიზნესჯგუფისთვის მიყიდული საწარმოს მდგომარეობა. მინისტრის თქმით, ხელისუფლება ყველაფერს ეცდება, რომ საწარმოს საქმიანობას ხელი შეუწყოს.

ინფორმაცია განსჯისათვის: სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ამჟამად საწარმოში დაახლოებით 2300 ადამიანია დასაქმებული და მათი საშუალო ხელფასი 400 ლარს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტში კი, ამ საწარმოს პრივატიზაციის პროცესიდან, დღემდე უკვე 16 მლნ. ლარზე მეტია შესული.

თავად პანტიკო თორდიას ინფორმაციით, კომპანია უკვე იწყებს ოთხადგილიანი რეაქტიულძრავიანი თვითმფრინავის გამოცდას. აღნიშნული თვითმფრინავის აწყობა და წარმოება ამერიკულ მხარესთან ერთად მიმდინარეობს. ამერიკული მხარე საქართველოს "თბილავიამშენს" ძრავებით ამარაგებს.

ახალი ტიპის თვითმფრინავი, ე.წ. "ტამ ჯეტი", ბიზნესმენთათვის იქნება განკუთვნილი და მისი ღირებულება დაახლოებით 1 200 000 დოლარს მიაღწევს. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში "თბილავიამშენმა" ამერიკელებთან ერთად შვიდადგილიანი თვითმფრინავების წარმოება დაიწყოს.

გარდა ამისა, საქართველო, შესაძლოა, უახლოეს მომავალში გაზის გამათბობელი საშუალებების ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს. როგორც თორდიამ განაცხადა, საწარმომ უკვე დაიწყო კომფორტული და ხარისხიანი გამათბობელი "კომფორტის" წარმოება, რომელიც თავის უცხოურ ანალოგებზე ბევრად უფრო იაფი, დაახლოებით 350 ლარი ღირს. აღნიშნული გამათბობელის შესყიდვის სურვილი ირანმა და სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს. "თბილავიამშენის" სიმძლავრე იძლევა საშუალებას, რომ მან წელიწადში დაახლოებით 10 ათასი გამათბობელი აწარმოოს," - აცხადებს თორდია.

დაბოლოს: სააგენტო "მედიანიუსის" ინფორმაციით, "თბილავიამშენი" მალე კიდევ ერთ საინტერესო პროექტს განახორციელებს. კერძოდ, ბულგარეთში განლაგებული, ნატო-ს "ბეზმერის" სამხედრო ბაზიდან რუსულ თვითმფრინავებს "სუ-25" საქართველოში გადმოიტანენ და მათ "თბილავიამშენი" განაახლებს. ამჟამად ამ მოიერიშეებს "ბეზმერის" ავიაბაზაზე ნაწილებად შლიან. მათ საქართველოში საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტით გადმოიტანენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულებაში თავდაცვის სამინისტრო არ მონაწილეობს და ეს საკითხი კომპანია "თბილავიამშენის" კომპეტენციაში შედის.

**24 საათი**

# სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან 6.4 პროცენტით შემცირდა

სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან 6.4 პროცენტით შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის შვიდ თვეში საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები 16 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, ივლისში, ივნისის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, აქტივების 3 პროცენტით მატება შეინიშნება. საბანკო აქტივები, გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 32 პროცენტით გაიზარდა და მან 1 მლრდ 980 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების მოცულობის სოლიდურ წილს, დაახლოებით 60 პროცენტს, სესხები წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის განცხადებით, წლის დასაწყისიდან ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად, 93.3 პროცენტით გადააჭარბა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდის ტემპს (23.8 პროცენტი), ამიტომ სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან 6.4 პროცენტით, ანუ 85.7 პროცენტიდან 79.3 პროცენტამდე შემცირდა.

"ამასთან, საბანკო სისტემა ეკონომიკის დაკრედიტებას, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით ახდენდა. მიმდინარე წლის ივლისში, საბანკო სისტემის მიერ ეროვნული ვალუტით სესხების გაცემა, საშუალოდ, 20.7 პროცენტიანი განაკვეთით ხდებოდა, რაც 6.4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით. თუმცა, იურიდიული პირებისათვის გაცემული კრედიტების განაკვეთები ფიზიკური პირებისათვის გაცემული სესხების განაკვეთებზე მნიშვნელოვნად დაბალი იყო და საშუალოდ, წლიური 17.7 პროცენტი შეადგინა," - განაცხადა ამაღლობელმა.

მისი თქმით, საბანკო სექტორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, ძირითადად, განაპირობა დიდმა ბანკებმა, რომელთა ფინანსური სიჯანსაღე, ფაქტობრივად, განსაზღვრავდა კიდეც საბანკო სექტორის სტაბილურობას.

3.2 პროცენტით, ანუ 16.7 პროცენტამდე შემცირდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთები. ამ შემთხვევაშიც, იურიდიული პირებისათვის გაცემული სესხები შედარებით დაბალი განაკვეთით, საშუალოდ, 15.2 პროცენტამდე გაიცემოდა. **ინტერპრესნიუსი**

# გლობალური კატაკლიზმები - ქართველი მძღოლების წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

**"ამგვარ პროგნოზს საქმეში ჩაუხედავი პირი თუ გააკეთებს, რადგან ამას სპეციალური ანალიზი სჭირდება. პროგნოზები იმან უნდა გააკეთოს, ვინც ფასების რეგულირების მექანიზმი იცის. სახელმწიფომ უნდა განაცხადოს, თუ რა იწვევს რეალურად ფასების ზრდას, რათა იმპორტიორებს, რომლებსაც ბიუჯეტში სერიოზული თანხები შეაქვთ, მსგავსი კომენტარების კეთება აღარ მოუხდეთ. თუ სიტუაცია ასე გაგრძელდება, მთავრობამ აქციზზე გადასახადების შემცირებაზეც უნდა იფიქროს,"** - აცხადებს კოტრიკაძე.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტის პროგნოზითაც, ფასების დასტაბილურებას დაახლოებით ორ კვირაში უნდა ველოდოთ.

თუმცა, ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ მსოფლიო სანავთობო ბაზარი, ჩვენს შემთხვევაში, არაფერ შუაშია და ყველაფერში ის იმპორტიორები არიან დამნაშავენი, რომელთაც სანავთობო ბიზნესი აქვთ მონოპოლიზებული და ფასებით მანიპულირებაც თავისუფლად შეუძლიათ.

დამოუკიდებელ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს მიაჩნია, რომ საქმე სპეკულაციურ პროცესებთან გვაქვს. **"მინიმუმ ექვსი თვის წინ არის დამტკიცებული იმ საწვავის კონტრაქტები და ფასები, რომელსაც დღეს მოვიხმართ. არ შეიძლება, რამდენიმე თვის წინ ნაყიდმა ბენზინმა სამი დღის წინ მომხდარი ფაქტის გამო ასეთი გავლენა განიცადოს. უბრალოდ, ეს ზემოგებაზე ზრუნვა და პროვოკაციულ-სპეკულაციური მომენტია, რომელსაც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ვიწრო წრე გვთავაზობს. ასეთ სიტუაციაში, მე მთავრობის დუმილი მაკვირვებს, რაც მთავრობის ზოგიერთი წევრის შექმნილ სიტუაციაში დაინტერესებაზე მიმანიშნებს,"** - აცხადებს ცისკარიშვილი.

ექსპერტის თქმით, როცა მსოფლიოში ნავთობის ფასი იწევს, საქართველოში ეს ბენზინის ფასზე არ უნდა მოქმედებდეს, იმიტომ, რომ ნედლი ნავთობის წილი ბენზინის ღირებულებაში უმნიშვნელო - თითქმის ნახევარზე ნაკლებია. **"როცა კვერცხის ფასი ორჯერ იზრდება, ტორტის ფასი ორჯერ არ იზრდება. ნავთობი ბენზინის შემადგენელი ნაწილია. ბენზინის ფასი ნავთობის გადამუშავების, ტრანსპორტირების და საგადასახადო ფასებს მოიცავს. არც ერთი მათგანი არ შეცვლილა. მაშინ, რატომ გაორმაგდა ბენზინის ფასი? ამის მიზეზი სპეკულაციური ისტერიაა,"** - ამბობს ექსპერტი. მისივე თქმით, **"თუ არ გაკეთდა სერიოზული ანალიზი, არ დაწესდა კონტროლი და არ დადგინდა სახელმწიფო ზღვრული ფასები, შესაძლოა, ფინანსური კატასტროფა მოხდეს."**

ამდენად, ექსპერტთა ნაწილი მსოფლიო კატაკლიზმებისკენ იშვერს ხელს, სხვები - იმპორტიორებისკენ, თავად იმპორტიორები კი - საბაჟოსკენ, სადაც, მათი თქმით, შეძენილი ნავთობპროდუქტების დატაცება ხდება. ბოლო პერიოდში იმპორტიორების მიერ აზერბაიჯანიდან ტრანსპორტირებული საწვავით სავსე ვაგონები ინტენსიურად იძარცვება. მარტო ერთი კვირის განმავლობაში იმპორტიორებმა დაახლოებით ასი ათასი ლარი იზარალეს. ამ დანაკლისის ანაზღაურებას კი ისინი საწვავის გაძვირების ხარჯზე ახდენენ.

როგორც ექსპერტები ამბობენ, თუ სეზონურ ფაქტორს გავითვალისწინებთ, სექტემბრიდან საწვავის გაიაფებაა მოსალოდნელი. მაგრამ თუკი ფასები ხელოვნურად იზრდება, მაშინ სეზონური ფაქტორის მოქმედება საქართველოს ბენზინის ბაზარზე ნაკლებად დამაჯერებელია.

# თვითმმართველობის რეფორმა იწყება



ლევან ხერხეულიძის ფოტო

რეფორმის სახელმწიფო კომისიაში ერთსულოვნება არ არის.

თვითმმართველობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე თვით სახელისუფლებო გუნდის შიგნით არსებობს განსხვავებული შეხედულებები. ამ წინააღმდეგობების არსს ვანო ხუხუნაიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: **"სახელმწიფო კომისიის წევრთა უმრავლესობას მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე თვითმმართველობების ტერიტორიული საზღვრები უნდა მოექცეს იმ ფარგლებში, რომელიც ამჟამინდელ დარაიონებას შეესაბამება. კანონის საფუძველზე მოხდება თვითმმართველობის ახალი ერთეულების ჩამოყალიბება, ანუ ამა თუ იმ რაიონის დაშლა და მის ადგილზე შედარებით მცირე, თვითმმართვადი ერთეულების შექმნა. ამაში ოპონენტებიც გვეთანხმებიან, მაგრამ, მათი აზრით, ეს დღესვე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრირების გზით უნდა მოხდეს. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფოს ამჟამად ამისთვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გააჩნია. ზემოდან კარნახით სოფლების გაერთიანება არასწორია. თბილისში არ უნდა განისაზღვროს, თუ რომელი სოფლები გაერთიანდებიან და სად იქნება თვითმმართველობის ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი. უმჯობესია, თუ ასეთი საკითხები ადგილებზე გადაწყდება. ისინი ისედაც დადგებიან დილემის წინაშე - თუ უნდათ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, საკრებულო და მეტი თვითმმართველობა, კეთილი ინებონ და ერთმანეთში შეთანხმდნენ. ათკომლიან სოფლებს სახელმწიფო თვითმმართველობას ვერ მისცემს."**

ვანო ხუხუნაიშვილის თქმითვე, გადასაწყვეტია ისიც, თუ როდიდან უნდა დაიწყოს რეალური თვითმმართველობა - ახლავე ჩაერთონ სოფლები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თუ ერთი-ორი არჩევნების (?!) შემდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, ეფექტური მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიაში ერთსულოვნება არ არის. შემუშავებული მოდელის მიმართ შენიშვნები და პრეტენზიები, კერძოდ, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ალექსანდრე შალამბერიძეს გააჩნია.

**"ზოგიერთი მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ პირველ დონეზე - რაიონებში - და ის არ უნდა გავრცელდეს ქალაქებსა და სოფლებზე, სხვები კი (მათ შორის, მეც) მიიჩნევენ, რომ პირველი დონის თვითმმართველობა, რაიონების გარდა, ყველგან უნდა განხორციელდეს, ოღონდ ტერიტორიული ერთეულების გამსხვილების გზით - 7-10 ათასიანი მუნიციპალიტეტების შექმნით,"** - აღნიშნავს შალამბერიძე.

კომისიაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ოპოზიციონერი დეპუტატების მხრიდან გამოთქმული კრიტიკაც ემატება. მაგალითად, პარლამენტარ გოჩა ჯოჯუას არ მოსწონს, რომ თვითმმართველობის რეფორმირება "აგრესიული პრივატიზაციის" ფონზე მიმდინარეობს.

**"სომხეთის მეფე გაგიკ მეორემ, თავის დროზე, მთელი სომხეთის სახელწიფო გაყიდა. იქნებ, მიგვებაძა მისთვის და ობიექტების ნაწილ-ნაწილ პრივატიზების ნაცვლად, მთელი ქონება ერთბაშად გაგვეყიდა? როცა ყველაფერი გაიყიდება, ადგილობრივ თვითმმართველობებს რა ქონებაღა დარჩება?"** - საყვედურობს ხელისუფლებას ოპოზიციონერი პარლამენტარი.

მისი ბრალდებები უსაფუძვლოდ მიაჩნია ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს კახა დამენიას. **"მაშ, რა ვქნათ? პრივატიზაციის პროცესი შევაჩეროთ?"** - კითხულობს მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, მარტო აჭარაში ადგილობრივ ხელისუფლებას საკმაოდ დიდი ქონება - 252 ობიექტი გადაეცა.

ერთი სიტყვით, თვითმმართველობის საკითხებზე დისკუსია "ძალას იკრეფს". ის კიდევ უფრო გამძაფრდება, როდესაც საშემოდგომო სესიაზე კანონმდებლები ზემოთ დასახელებული კანონპროექტების განხილვას შეუდგებიან.

# თბილისის აეროპორტის მშენებლობას "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმი განახორციელებს

"ეს კანონდარღვევაა," - აცხადებს "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე

თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობას, სავარაუდოდ, თურქული კომპანიების "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმი განახორციელებს.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე აცხადებს, აღნიშნულმა კონსორციუმმა საქართველოს მთავრობის დეპოზიტზე უკვე ჩარიცხა დაახლოებით 6 200 000 დოლარი. ჩოგოვაძის თქმით, საერთო ინვესტიცია, სავარაუდოდ, 82 მლნ. დოლარს შეადგენს და თბილისის აეროპორტის გარდა, შესაძლოა, კონსორციუმს ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია-განახლებაც დაევალოს.

რაც შეეხება თურქულ კომპანია "ჩელებს", რომელსაც თბილისის აეროპორტის მშენებლობა სექტემბერში უნდა დაეწყო და 26 მაისისთვის დაესრულებინა. როგორც ჩოგოვაძე აცხადებს, აღნიშნულმა კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი ფინანსური გარანტია იმისა, რომ აღნიშნული მშენებლობის დაწყების შემთხვევაში მას ბოლომდე მიიყვანდა. ამდენად, ქართული მხარე "ჩელებთან" ურთიერთობას წყვეტს.

შესაბამისი ფინანსური გარანტია "ჩელებს" 2 სექტემბრისათვის უნდა წარმოედგინა, რაც ვერ მოხერხდა.

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის დავით საგანელიძის მოსაზრებით, თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობის ჩაბარება თურქული კომპანიების "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმისათვის დაუშვებელია და აბსოლუტური კანონდარღვევაა.

საგანელიძის განმარტებით, მას შემდეგ, რაც 2 სექტემბერს კომპანია "ჩელებმა" ვერ წარმოადგინა შესაბამისი საბანკო გარანტია და მას უარი ეთქვა თბილისის ახალი აეროდრომის მშენებლობაში მონაწილეობაზე, უნდა გამოცხადებულიყო ახალი ტენდერი და ხელშეკრულება ახალი აეროპორტის მშენებლობის თაობაზე საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ ამ ახალ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან უნდა გაეფორმებინა.

საგანელიძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ "ჩელებთან" გაფორმებული ხელშეკრულება თავიდანვე ეჭვს ბადებდა და ეს ეჭვები გამართლდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ ხოტბაშესხმულმა კომპანია "ჩელებმა" მშენებლობის დაწყება ვერ მოახერხა, რითაც, გარკვეულწილად, საგანელიძე კმაყოფილია, ვინაიდან მიაჩნია, რომ ტენდერი, რომელშიც "ჩელებმა" გაიმარჯვა, გაუმჭვირვალე იყო და მთელი რიგი კანონდარღვევებით ჩატარებული.

საგანელიძეს ეჭვი აქვს, რომ თბილისში ახალი აეროდრომის მშენებლობის დაწყებას და მის დასრულებას ვერც ახალი კონსორციუმი მოახერხებს.

საგანელიძის მოსაზრებით, მსგავსი უპასუხისმგებლო ქმედებებისათვის ეკონომიკური სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია ტენდერების ჩატარებაზე, სამართალშია მისაცემი და მათზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე ტენდერი 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სადაც გაიმარჯვა კონსორციუმმა თურქული "ჩელებ-ის", ლუქსემბურგული "ჯი-თი-ეს"-ის და ამერიკული "ეი-ენდ-ჯეი"-ის შემადგენლობით. ამ კომპანიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, კონსორციუმს გამოეყო ლუქსემბურგული კომპანია, რის შემდეგაც გამარჯვებულ კონსორციუმს ფინანსური პრობლემები შეექმნა.

*ინტერპრესნიუსი*

# ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მორიგი აუქციონიდან 150 000 აშშ დოლარის მობილიზებას გეგმავს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მორიგი აუქციონი გამოაცხადა, საიდანაც ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 150 000 აშშ დოლარის მობილიზებას გეგმავს. აუქციონი გამოცხადდა თბილისში, სასტუმრო "კავკასიის" ქვეშ არსებულ სარდაფზე და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 30 000. აშშ. დოლარია. სარდაფის ფართი - 222 კვ.მ., მიწის წილობრივი ფართი - 66.8 კვ.მ. ასევე გამოტანილია თბილისში, ბროსეს ქუჩაზე მშენებარე შენობის IV სართული, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 100 000. აშშ. დოლარს შეადგენს. ობიექტის საერთო ფართი - 147,55 კვ.მ.-ია, მიწის წილობრივი ფართი - 39,82 კვ.მ.-ს შეადგენს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აუქციონი თავდაცვის სამინისტროს ყოფილ ტირზე და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე გამოაცხადა. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 20 000 აშშ. დოლარია. შენობა-ნაგებობები - 56, 75 კვ.მ. მიწის ფართის სიდიდე 374 კვ. მ-ია. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება ხვალიდან დაიწყება და 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება. აუქციონი 6 ოქტომბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში დაკავებულ ლიტველ ქილერს ისრაელში გადაიყვანენ

ლიტველ ქილერს, მარიუს დეინაუსკასს, რომელიც საქართველოში საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დააკავეს, უახლოეს ხანებში ისრაელში გადაიყვანენ. ამის შესახებ ინფორმაციები ებრაულ საიტებზე ვრცელდება.

ისრაელის პოლიციის ინფორმაციით, დეინაუსკასი იმ დაქირავებული მკვლელების ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, რომლის წევრების დაკავება 2004 წლის გაზაფხულში მოხერხდა.

მათივე ცნობით, იგი ჯგუფის დაკავების წინ ისრაელიდან გაიქცა, შემდეგ გარკვეული პერიოდი პრაღის კაზინოში მუშაობდა, პრაღიდან კი საქართველოში გადავიდა. იგი ქართველმა სამართალდამცავებმა საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს. დეინაუსკასს ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, წელს ყურძნის მოსავალი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით და მაღალი ხარისხით გამოირჩევა. "წელს 255 000 ტონა ყურძნის მოსავალს ველოდებით. აქედან, სამრეწველო დანიშნულება 140 000 ტონა ყურძენს ექნება. დანარჩენს ფერმერები საკუთარი დანიშნულებისამებრ გამოიყენებენ," - განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ გოგიტა მახარაშვილმა. რთველი 15 სექტემბრიდან დაიწყება. ამჟამად სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში ღვინის ქარხნებიდან 87 ათას ტონა ყურძენზეა მოთხოვნის განაცხადი შეტანილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "თელასის" ორგანიზებით, აფხაზეთიდან დევნილმა 30-მა ბავშვმა ქობულეთში დაისვენა. უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების შვილები 10 დღით სანატორიუმ "მეგობრობაში" იმყოფებოდნენ. თბილისში, წყალტუბოში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახების შვილები აფხაზეთის პროფკავშირებმა შეარჩია. მსგავსი პროექტი "თელასის" პროფესიული კავშირების გაერთიანებამ შარშანაც დააფინანსა. 2004 წლის ზაფხულში დაბა ჩაქვში აფხაზეთიდან დევნილმა 20-მა მცირეწლოვანმა დაისვენა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# შალვა რამიშვილის სკანდალი

პირველი გვერდიდან

თავისი კონკრეტული და კარგად გამოხატული ინტერესები ჰქონდა მმართველ პარტიასაც, რომელიც ერთ მოკლე ფორმულაში გამოიხატა - ბექაურისთვის მინიმალური ზიანის მიყენება რამიშვილის მაქსიმალური დისკრედიტაციის ხარჯზე.

იმ დეპუტატებმა, რომლებმაც უმრავლესობასთან დაუკითხავად თავს საკუთარი დამოუკიდებელი აზრის გამოხატვის უფლება მისცეს, მკაცრი გაკიცხვა დაიმსახურეს გიგა ბოკერიასა და ბოკერიასთვის ამ ექსკლუზიური უფლებაშეზღუდული კირკიტაძისგან. საჯარო მითითებების შემდეგ ზურაბიშვილმა ფრაქცია დატოვა. ელენე თევდორაძე კი, რომელსაც, ბუნებრივია, ზურაბიშვილის რადიკალიზმი არ გაუზიარებია, საოცარი ბიზნესი გააჩნდა, შესაძლოა სამართლიანადაც, მაგრამ ინიციატივა იმ კორპორატიული მოდიოდა, რომლის ბექაურთან ბიზნესინტერესებზე კითხვები საზოგადოებას უკვე გაუჩნდა.

ყველაზე მთავარი სარგებელი, რომელსაც ამ მოვლენებიდან ხელისუფლება ელოდება, ასეთია - მორალური უპირატესობის მოპოვება მედიაზე. თუ აქამდე ხელისუფლებაში ჟურნალისტების პროფესიონალიზმს უწუნებდნენ, პროფესიული ეთიკის დაცვისაკენ მოუწოდებდნენ და ამაზე საჯარო განცხადებებს აკეთებდნენ, კადრები, სადაც ასე ნათლად ჩანს, როგორ იღებს ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი ჟურნალისტი ფულს, თავისუფალ მედიაზე მორალური უპირატესობის ასაღებად ყველაზე საუკეთესო საშუალებად იქცა. ამიტომ, ხელისუფლების მხრიდან ბექაურზე არა თუ აქცენტი არ გაკეთებულა, არამედ გამორიცხული არც ის არის, რომ პარლამენტის არჩევნების მომდევნო სტურების დროს კრიტიკის გვერდით მან ახალი დროის გმირის ტიტულიც კი დაიმსახუროს.

ამ მოვლენების შეფასებისას ჟურნალისტები ხელისუფლებასთან ერთად დაინტერესებული მხარე - გამოდის, რაც შალვა რამიშვილის სკანდალმა ქართულ მედიაზე იქონია, ყველაზე დიდია ამ ბოლო წლების განმავლობაში. ქართველი ჟურნალისტების უმრავლესობა არიან და ამიტომ ერთადერთ ვერსიას, რომელიც საკუთარი დისკრედიტაციის ასაცილებლად მოინახა, მარტივია - "ეს არის წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია თავისუფალი პრესის წინააღმდეგ. დამნაშავე მხოლოდ ბექაურია."

ყველანაირი თვითკრიტიკა ამ ლოზუნგის შემმუშავებლებისთვის უკვე ქვების სროლას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ უცოდველების მიერ ცოდვილთათვის ქვების სროლის ეს ცნობილი ბიბლიური სენტენცია ამ შემთხვევაში სრულიად არაადეკვატურია.

ერთადერთი მოუკერძოებელი მხარე ამ ფაქტის შეფასებისას საზოგადოება, რომლის მთავარი კითხვა ასე ჟღერს - რამიშვილი დამნაშავეა, მაგრამ ბექაურიც ხომ დამნაშავეა?

ის, რასაც მედიისგან საზოგადოება მოელის, დაუმიხეზებელი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და მორალური მდგრადობაა იმ ჟურნალისტებისა, რომლებიც საზოგადოებას ყოველ დღე მოვლენათა ანალიზსა და ხედვას სთავაზობენ.

ის, რასაც ხელისუფლებისაგან საზოგადოება ითხოვს, პირველ რიგში, კანონის დაცვა და კორუფციისაგან თავისუფლებაა; ამიტომ კითხვა, რომელიც შაბათის კადრების ნახვისაგან თითოეულ მაყურებელს სპონტანურად დაებადა, სამართლიანი და ობიექტურია და ასევე სამართლიანი და ადექვატური პასუხი სჭირდება როგორც მედიის, ისე ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან.

შეფასებები, რომ შალვას შეცდომა მხოლოდ ის იყო, ფული ასე სულელურად რომ აიღო, ხოლო ბექაური პოლიციის "ნასედკაა" და მისი მთავარი დანაშაულიც ეს არის - ყველაზე ოდიოზური იყო იმ შეფასებებს შორის, რომელიც საზოგადოების, ჟურნალისტების თუ ოპოზიციური პარტიების მხრიდან გაკეთდა და ყველაზე ნათელი მინიშნება იმ შემორჩენილი კრიმინალური აზროვნებისა, როდესაც ფულის აღება დანაშაული არ არის, პოლიციასთან თანამშრომლობა კი უდიდეს ცოდვად ითვლება.

ათი დღის წინ მომხდარი ჟურნალისტის შანტაჟის შედეგია თუ ბექაურმა ფული ძალით შეაჩეჩა რამიშვილს - ამის დადგენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შალვა რამიშვილის წინააღმდეგ მოსამართლის მიერ გამოტანილ ვერდიქტზე იმოქმედებს. მაგრამ იმ კადრებით, სადაც ის ფულს იღებს, შალვას, როგორც ჟურნალისტს, ვერდიქტი, ალბათ, უკვე გამოტანილი აქვს. ფულის აღება სიმართლის არ თქმის სანაცვლოდ ყველა შემთხვევაში ყველაზე დიდი მორალური დანაშაულია, რომელიც ჟურნალისტს შეუძლია, საზოგადოების წინაშე ჩაიდინოს.

ამიტომ, დღეს მედიის მხრიდან სირაქლემის პოზიციაში ჩადგომა დიდი შეცდომაა, რომელიც, პირველ რიგში, ყველაზე მეტად ისევ თავისუფალ პრესას აზარალებს. კრიზისი, რომელიც დღეს ქართულ მედიაში არსებობს, ახლა არ დაწყებულა და მისი ერთ დღეში დაძლევაც წარმოუდგენელია. მაგრამ დღეს ამ კრიზისზე საჯარო საუბრის დაწყება, ახალი თამაშის წესების, პროფესიული და მორალური სტანდარტების შემოღება ერთადერთი გზაა გადარჩენისაკენ და იმ მორალური უპირატესობის შეგრძნების დაძლევისაკენ, რომელიც ხელისუფლებას გაუჩნდა და რომელიც მას ასეთ თვითკამყოფილებას ანიჭებს.

რაც შეეხება ბექაურის დანაშაულს, ის, როგორც ბევრს ჰგონია, პოლიციასთან თანამშრომლობა არ არის. ამიტომ, ცხადია, ამისათვის ვერც დაისჯება. მაგრამ ის, რომ პოლიციასთან თანამშრომლობით ბექაურის მორალური რეაბილიტაცია მოხდეს, მხოლოდ უმრავლესობის სურვილია და არანაირად არ ეხმიანება საზოგადოების მოთხოვნებს. უმრავლესობის ასეთი სურვილი გიგა ბოკერიას კომენტარებშიც გამოიხატა, როცა ის მძაფრ აქცენტებს მხოლოდ რამიშვილზე აკეთებდა და იმ დეპუტატებზე, რომელთაც კითხვების დასმა მოინდომეს თანაფრაქციელისთვის.

კარგად მესმის, როცა ბექაურის დაცვის ძლიერი სურვილი უჩნდებათ კირკიტაძეს, მაჭავარიანს და ასე შემდეგ. მაგრამ ნამდვილად არ მესმის, ეს სურვილი ასე მძლავრად რატომ ტანჯავს გიგა ბოკერიას. იმის თქმა, რომ ბექაურისთვის "ნასედკობის" იმიჯის მიწებება დიდი შეცდომაა მითუმეტეს დეპუტატების მხრიდან, სრულებით არ გამორიცხავს იმის აქცენტირებულ (და არა გაკვრით) თქმასაც, რომ ბექაურის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაიწყოს და მკაცრად აგოს პასუხი ყველა კანონდარღვევასა და დანაშაულზე. ამის სურვილი ნამდვილად არის საზოგადოებაში, რომელსაც არასოდეს დაუჯერებია ის, რომ ლევან მამალაძესთან ფინანსურ მაქინაციებში გახვეული ვინმე ვირტუალური კობა ბექაურია და საერთო არაფერი აქვს უმრავლესობის თავჯდომარის მოადგილესთან. სხვათაშორის, გამოძიებას აღარ უცნობებია საზოგადოებისთვის, მიაკვლია თუ არა იმ ვირტუალურ ბექაურს.

ასე რომ, ყველაზე ჭკვიანური დასკვნა, რომელიც შეიძლება ამ მოვლენებიდან მედიამ და ხელისუფლებამ გამოიტანოს, თავისი შეცდომებისა და სისუსტეების აღიარებაა. სირაქლემის პოზიციაში ჩადგომა და ერთმანეთზე ყველა პრობლემის გადაბრალება კი ამ მდგომარეობაში საზოგადოების თვალში როგორც მედიის, ასევე ხელისუფლების კიდევ უფრო დიდ დისკრედიტაციას გამოიწვევს.

სამართალი

## ქუთაისი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სამაგალითო იქნება

*ქუთაისის ახალი საპყრობილის თანამშრომელთა შერჩევის პროცესი დასკვნით ფაზაში შევიდა. კონკურსის პირველ ორ ეტაპზე წარმატებით გასული პირების გადამზადება უკვე დაიწყო. ვაკანტურ თანამდებობებზე მხოლოდ ის კადრები დაინიშნებიან, რომლებიც სპეციალურ ერთთვიან ტრენინგებს წარმატებით გაივლიან. ტრენინგებს, რომლებიც ეუთო-ს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, ევროპელი ექსპერტები ატარებენ. სპეციალური სასწავლო პროგრამის პრეზენტაციას ქუთაისში იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია პირადად დაესწრო.*

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

**"ქუთაისის ციხე კავკასიაში ყველაზე კარგი დაწესებულებაა, მაგრამ ის საუკეთესო იქნება კადრების თვალსაზრისითაც. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ამ კადრებით; შესაბამისად, მათ გავუზრდით ხელფასებს და ყველა პირობას შევუქმნით. ამ მაგალითს ჩვენ გადავიტანთ რუსთავში და შემდგომ საქართველოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. ქუთაისის საპყრობილე არის სამოდელო დაწესებულება. ასე რომ, მე ხშირად ჩამოვალ აქ და გავუწევ მას მუდმივ მონიტორინგს,"** - განაცხადა კოტე კემულარიამ ქუთაისში ვიზიტის დროს.

კონკურსი ქუთაისის საპყრობილეში 62 თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ივლისის ბოლოს გამოცხადდა. კონკურსის პირველი ეტაპი, რომელშიც 600-მდე ადამიანი მონაწილეობდა, საბუთების შერჩევას ითვალისწინებდა და უპირატესობა უმაღლესი განათლების მქონე, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების მცოდნე პრეტენდენტებს ენიჭებოდათ.

კონკურსანტების ერთი ნაწილის თქმით, ისინი უსამართლობას კონკურსის პირველსავე ეტაპზე წააწყდნენ, როცა განაცხადში მათ მიერ შერჩეული თანამდებობა მიუთითეს და გასაუბრების დროს მათი შესაბამისი დოკუმენტები სხვა ვაკანსიებში აღმოაჩინეს. მათი თქმით, კომისიის წევრებმა ეს წინასწარ შერჩეული კანდიდატებისთვის კონკურენტების გზიდან ჩამოშორების მიზნით გააკეთეს. მიუხედავად ამისა, განაწყენებული კონკურსანტები თავიანთ უკმაყოფილებას ჯერჯერობით მხოლოდ პირად საუბრებში გამოხატავენ, ოფიციალურად საკონკურსო კომისიაში კი პრეტენზიები არ დაფიქსირებულა.

კონკურსის მეორე ეტაპზე 480 კანდიდატი გავიდა, რომლებმაც აგვისტოს ბოლოს გასაუბრება იუსტიციის სამინისტროში გაიარეს. გასაუბრების შედეგად სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, 281 კანდიდატი გამოავლინა. აღნიშნული პირების საბოლოო ბედს კონკურსის მესამე ეტაპში მათი აქტივობა განაპირობებს.

**"ვფიქრობ, კონკურსი ძალიან ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდა. პირადად მე დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზე შევიტანე განცხადება. ამჟამად ვმონაწილეობ ტრენინგებში, სადაც, წარმატებით სწავლის შემთხვევაში, გადმოგვეცემა სერთიფიკატები და შემდეგ დავინიშნებით შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე",** - აღნიშნა ერთ-ერთმა კონკურსანტმა ავთანდილ კენჭაძემ "24 საათთან" საუბრისას.

ქუთაისის საპყრობილეში კიდევ 12 ვაკანსიაა დარჩენილი, რომლებზეც შესაბამისი კანდიდატები ხელახალი კონკურსის შედეგად შეირჩევიან. აღნიშნულ დაწესებულებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილების თაობაზე კი მინისტრმა რამდენიმე დღეში უნდა გამოაცხადოს. საქმე N2 საპყრობილის უფროსის თანამდებობის ვაკანსიას შეეხება. ქუთაისის საპყრობილეს შოთა ტორაძე 2004 წლიდან ხელმძღვანელობს. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ლაპარაკი მას შემდეგ დაიწყო, რაც იუსტიციის მინისტრად კოტე კემულარია დაინიშნა. იმავდროულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მინისტრი თავის პროტეჟეს - რომან მამრიკიშვილს ამზადებდა ტორაძის შემცვლელად. მამრიკიშვილის კარიერა, ძირითადად, პოლიციის უწყებას უკავშირდება. ბოლო დროს ის წყალტუბოს, ქუთაისისა და თერჯოლის პოლიციის სამმართველოებს ხელმძღვანელობდა. იმერეთის სამხარეო პოლიციის ახალი უფროსის ლევან კახიანის დანიშვნის შემდეგ მამრიკიშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა. მორიგი სამსახურის ძიებას ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეუდგა, ოღონდ განაცხადი ციხის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე შეიტანა.

**"უკვე შერჩეული გვყავს, ვინ იქნება ქუთაისის საყრობილის უფროსი. ამას უახლოეს დღეებში გამოვაცხადებთ. რაც შეეხება მამრიკიშვილს, მას ამ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია",** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა "24 საათთან" საუბრისას.

ქუთაისის საპყრობილის მშენებლობა, რომელიც 10 მილიონი ლარი დაჯდა, დასასრულს უახლოვდება. მისი ოფიციალური გახსნა ოქტომბრის თვეში იგეგმება. საპყრობილე ორი კორპუსისგან შედგება და 1500 პატიმარზეა გათვლილი. უწყების ხელმძღვანელები ახალ ციხეში პატიმრებს კომფორტსა და თანამედროვე ტიპის მომსახურებას სთავაზობენ, კონკურსის წესით შერჩეულ თანამშრომლებს კი - გაზრდილ ხელფასებს - საშუალოდ, 150-დან 950 ლარამდე ოდენობით.

## გატაცებული მოზარდი შინ თავად დაბრუნდა

შაბათს, საღამოს გორის რაიონის სოფელ ქვიშიდან დაკარგული 14 წლის ლევან ცაციაშვილი გუშინ შინ დაბრუნდა. მიუხედავად სამართალდამცველთა მტკიცებისა, რომ მოზარდი გატაცებული არ იყო, ცაციაშვილი ამბობს, რომ ის ოსი ეროვნების პირებს ჰყავდათ გატაცებული და გამოქცევა შემთხვევით მოახერხა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან, ღრომის ხეობიდან 11 წლის გენო პეტრიაშვილის გატაცებიდან მე-17 დღეს კიდევ ერთი ქართველი მოზარდი გაიტაცეს. ამჯერად გორის რაიონის სოფელ ქვეშიდან 14 წლის ლევან ცაციაშვილი გაუჩინარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცველები მოზარდის გატაცების ფაქტს უარყოფდნენ. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი მოზარდს, უბრალოდ, დაკარგულად თვლიდა და არა - გატაცებულად:

**"არანაირ გატაცებას ადგილი არ ჰქონია. ბავშვები სათევზაოდ იყვნენ წასულები და, უბრალოდ, დაიკარგნენ; თანაც, ცაციაშვილი მარტო არ ყოფილა,"** - აცხადებდა გუშინ ჯუღელი. თუმცა, ცხადია, ცაციაშვილის ძებნის ღონისძიებების ჩატარება შაბათს საღამოსვე დაიწყო.

სოფელი ქვეში ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას ესაზღვრება - კერძოდ, სოფელ ზემო არცევს. სწორედ ზემო არცევიდან გაიტაცეს 30 წლის გოჩა ჯარმელიშვილიც, რომელმაც 33-დღიან ტყვეობას გაქცევით დააღწია თავი.

ქართველი სამართალდამცველები დაკარგულ ბავშვს ღრომის ხეობაში, ძირითადად, ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეძებდნენ. თუმცა, გუშინ ლევან ცაციაშვილი შინ საკუთარი ფეხით დაბრუნდა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ბიჭი სოფელში ფეხშიშველი გამოჩნდა. ცაციაშვილის ახლობლების თქმით, იგი სასტიკადაა ნაცემი და, როგორც ამბობს, გამოპარვით უშველა თავს. მათივე ნაამბობის თანახმად, ბიჭი მეტისმეტად შეშინებულია, ჯერჯერობით ვერ ლაპარაკობს და ვერ აკონკრეტებს, ვის და რა მოტივით ჰყავდა გატაცებული ან რა ტერიტორიაზე იმყოფებოდა. თუმცა, ოჯახის წევრებისთვის მან იმის თქმა მოახერხა, რომ ოსებმა გაიტაცეს და გამოიპარა.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ცაციაშვილის გატაცება შურისძიებასაც უკავშირდებოდეს - კერძოდ, ქართველმა სამართალდამცავებმა, დაახლოებით, 6 თვის წინ ოსი ეროვნების ვინმე ქუმარეტოვი დააკავეს. იგი გატაცებული მოზარდის მამის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

შეგახსენებთ, რომ 18 აგვისტოს კონფლიქტის ზონის სოფელ ნულიდან 11 წლის გენო პეტრიაშვილი გაიტაცეს, რომლის ადგილსამყოფელი ჯერ უცნობია.

24 საათი

## "ბაზისბანკის" გენერალური დირექტორი რამიშვილის განცხადებას უარყოფს

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლის შალვა რამიშვილის საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა "ბაზისბანკის" გენერალური დირექტორი ზურაბ ციხისთავი დაკითხეს.

**"ციხისთავი განმარტავს, რომ შალვა რამიშვილის განცხადება, თითქოს ის ინფორმირებული იყო, რომ პარლამენტის წევრს კობა ბექაურს ფული "ბაზისბანკში" მისთვის უნდა გადაეცა, რაც სპეციალურად დამონტაჟებული კამერებით უნდა დაფიქსირებულიყო, სინამდვილეს არ შეესაბამება,"** - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შალვა რამიშვილს ზურაბ ციხისთავისთვის ფულის გადაცემის ფარულად გადაღების შესახებ არაფერი უთქვამს.

1 სექტემბერს შალვა რამიშვილის მიერ გავრცელებულ წერილში ნათქვამია, რომ იგი ბექაურს ბანკში საკუთარ ანგარიშზე ნაღდი ფულის ჩარიცხვას სთხოვდა.

**"ამის შესახებ იცის "ბაზისბანკის" ხელმძღვანელობამ, კონკრეტულად, ზურა ციხისთავმა, რომელსაც ვთხოვე, გამოეყო ჩემთვის და ბექაურისთვის ოთახი, სადაც იქნებოდა კამერები, დაითვლებოდა ფული და მოხდებოდა ეს ტრანსაქცია,"** - აცხადებდა რამიშვილი თავის საჯარო წერილში.

**მედიანიუსი**

პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია

**"ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს"** — თქვა ერთხელ **ანტონ ჩეხოვმა**, უფრო სწორად, ერთ-ერთ პერსონაჟს ათქმევინა. იმასაც, ხელმოცარულ პროვინციელ ინტელიგენტუკას, ვინ იცის, რისთვის დასჭირდა ეს სასაცილო და სწორხაზოვანი ფრაზა — მოცლილ საზოგადოებაში თავის გამოსაჩენად, ან იქნებ რომელიმე მობერებული და სანტიმენტებს გადაყოლილი ტურფის საამბლელად. საინტერესოა, რომ პროვინციული კიჩის ამ სტილიზაციამ ლამის ეთიკურ-ესთეტიკური კრედოს ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირიში. მწერლის ირონიას ვერ ჩასწვდნენ — პარტიული ელიტის ოფიციალური გამოსვლებსა და სასკოლო თხზულებებში ყალბი მარგალიტივით ბრწყინავდა: "в человеке все должно быть прекрасно!"...

მაგრამ, აბა, რეალურად დავუკვირდეთ, რას გამოიწვევს ამ მოყირჭებული ფრაზის ჩართვა იდეოლოგიაში. ცოცხალ ადამიანს ასეთი ბრტყელი სქემით ვერ აღწერ, მისი ცხოვრება გაცილებით უფრო რთული და გამოუთქმელია. აი, სისხლიან ბამბაზე მყუდროდ მოკალათებული ბუზი დააფრთხო მისმა პირველმა ყვირილმა; აი, იქვე ჩასაფრებულ მახარობელ ექთანს მოსალოდნელი ოცდახუთმანეთიანის მოიისფრო ცეცხლმა დაუბნელა თვალები — კარისკენ გაქანებულმა რაღაცაზე წაიბორძიკა და გერმანული "ჩულქი" გაიხია; აი, ყველას მიერ მოძულებული, მაგრამ როგორც ყოველთვის ყველაზე ადრე მოსული და უკვე მთვრალი ბიძაშვილის ხელმა გაიწია ახალგამომცხვარი მამის ყურისკენ; აი, მმაჩის ბიუროში კლიმაქსისა და ზაფხულის მიწურულისგან აღაჟღაჟებულმა მოხელე ქალმა ხვნეშით გამოიღო სეიფიდან ჯერ შეუვსებელი დაბადების მოწმობა... ადამიანმა გვარიანად დაბადებაც ვერ მოასწრო და უკვე იქცა ათასობით, მილიონობით მცირე მოვლენის, ურთიერთობის, კავშირის, დამოკიდებულების მიზეზად და ცენტრად. არა, მშვენიერება ისევე ვიწრო და უსუსურია ამ სიმრავლის დასატევად, როგორც სიმახინჯე, სიკეთე, ბოროტება ან რომელიმე სხვა ეთიკური კატეგორია.

რისთვის ვლაპარაკობ ამდენს? — ახლავე აგიხსნით. 29 აგვისტოს **ეკა კვესიტაძემ** გამოაქვეყნა "24 საათში" სტატია, რომელიც ასე იწყება: **"შოკისმომგვრელი — ეს არის ის ყველაზე ადეკვატური შეფასება, რაც ორი დღის წინ მომხდარმა ფაქტმა დაიმსახურა"**. საქმე ტელეარხ "202"-ის დამფუძნებელისა და წამყვანის, **შალვა რამიშვილის** დაპატიმრებას ეხება. შოკისმომგვრელი მართლაც შეიძლება იყოს კაცის დაპატიმრება — მაგალითად, ოჯახის წევრებისთვის. მაგრამ როდესაც მსგავს დახასიათებას ყოველდღიური გაზეთის პირველ გვერდზე იძლევიან, ეს თავისთავად უკვე საჭიროებს ანალიზს. საკუთრივ რა იყო შოკისმომგვრელი? სულაც არ მინდა ვთქვა, რომ უგულო ცინიკოსი ვარ და შალვა რამიშვილისგან ყოველთვის ველოდი რაღაც ამნაირს: ეკა კვესიტაძისა არ იყოს, მეც თავზარი დამცა მომხდარმა და ამ წუთშიც ვგრძნობ, რომ იმ პიროვნებაზე ვწერ, ვის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას გულგრილობას ვერ დავარქმევ.

და მაინც, ადამიანის ბუნების გამარტივება, რომელზედაც თავიდან მოგახსენებდით, ჩვენშიც შეინიშნება, შეინიშნება კი არა, ლამის პარადიგმად ქცეულა: თუ ვინმეს ადიდებენ რაღაც კონკრეტული ღვაწლისთვის, ის




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



უსათუოდ ცხოვრების ყველა დონეზე, ყველა ინტიმური კუნჭულით უნდა იყოს წმინდანი. და პირიქით, თუ ვინმეს თავიდანვე აძაგებენ, მისი სიკეთისა და სიმართლის წვეთიც კი არ დაიჯერება. ეს ორი მდგომარეობა ადვილად გადადის ერთმანეთში. ამის მოწმე არაერთხელ ვყოფილვარ. რამდენიმე თვის წინ ერთი ეგზოტიკური ტანსაცმლის მოყვარული კულტმუშაკი მიკიჟინებდა, რომ გავბედე და უდიერად მოვიხსენიე ჩვენი სასიქადულო ბალერინა, **ნინო ანანიაშვილი**. ვითარება შეიცვალა და, როგორც ეტყობა იმ კულტმუშაკს ახლა უკვე **ჯონდი ბაღათურიასთან** მოუწევს საქმის გარჩევა, თუმცა არა მგონია, პრინციპულობა შეინარჩუნოს...

27 აგვისტოს მოვლენებით გამოწვეული შოკიც იმავე ბუნებისაა, აქაც სრულიად ბარბაროსული სურათი იკვეთება: აბა, გაიხსენეთ, რატომ არ აჩვენებდნენ ტელევიზიით ფილმს "ლაზარე", ან "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" რატომ არ გამოდიოდა თბილისის ეკრანებზე მაშინაც, როცა ყველა ოფიციალური აკრძალვა მოიხსნა? ახლაც მსგავსი ყიჟინა ისმის ყოველი მხრიდან: ერთადერთი თავისუფალი ტელევიზიის პატრონი! "დარდუბალას" ავტორი! "ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი შემოქმედი! — მერე და ვინ თქვა, რომ ყოველივე ამას წაართმევენ შალვა რამიშვილს და ყველას გვიბრძანებენ, დავივიწყოთ მისი სიკეთე? უბრალო აზრი, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო და მისი საქმეებიც კი შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი და ხშირად წინააღმდეგობრივიც იყოს, ძნელად აღწევს ჩვენს გონებაში. რაოდენ ბედნიერნი არიან იმ ქვეყნების მცხოვრებნი, სადაც ყოველგვარი შინაგანი ბრძოლის გარეშე ურიგდებიან იმ აზრს, რომ მარადონა შეიძლება ნარკოდილერი იყოს, ჯეკსონი — პედოფილი, ტაისონი — მოძალადე, პავაროტი — აცუნდრუკებული ბერიკაცი.

მე არ დავიწყებ მსჯელობას იმის შესახებ, შანტაჟისტია თუ არა შალვა რამიშვილი. ტაქტიან და სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებაში ამაზე მსჯელობა ჯერ საჯაროდ არც უნდა მიმდინარეობდეს. მე მაკვირვებს გამოთქმულ თვალსაზრისთა უკიდეგანო დიაპაზონი და საყოველთაო აღტყინების ზომა. მაკვირვებს ხეიბარი ლოგიკა: თუ გვჯერა, რომ შალვა რამიშვილი გამომძალველია, გამოდის, რომ ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი ყოფილა და, რაც გააკეთა, ფუჭია; თუ მისი რადიო და ტელემოღვაწეობის როლს ვაფასებთ, გამოდის, რომ რაღაც განსაკუთრებული მოქალაქეობრივი სტატუსიც უნდა მივანიჭოთ.

უბედურებაა, თუ სახელმწიფო თავისუფალ მედიას ებრძვის. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, როცა თავისუფალი მედია, უფრო მეტიც, თვით ლიბერალური ღირებულებების სისტემა მოწინავე ადამიანების გონებაშიც ცალკეულ პიროვნებებთან იდენტიფიცირდება. ერთგვარი სიმართლე არის იმ თვალსაზრისში, რომ "202" დროის გარკვეულ პერიოდში ერთადერთ ლიბერალურ ტელევიზიას წარმოადგენდა, მაგრამ თუ ეს შალვა რამიშვილის დაპატიმრებასთან ერთად დასამარდა, მაშინ არც არაფრის ღირსი ვყოფილვართ. სხვათა შორის, დღეს ტელეკომპანია "202" ცხონებულ "იბერიას" მაგონებს "ევრიკის" ელემენტებით გამდიდრებულს და ამაში, თუ გნებავთ, ძირითადი ბრალი სწორედ შალვა რამიშვილს მიუძღვის. მე მაქვს ამ პიროვნებაზე გარკვეული თვალსაზრისი, რომლის გამჟღავნებას საჯაროდ არ ვაპირებ, მაგრამ ეს არ მიშლის ხელს, ვაღიარო, რომ შონზოს სრული უფლება აქვს, სხვანაირად იფიქროს. ძველი სქოლასტიკოსები რომ მოვიგონოთ და გეომეტრიულად ვიმსჯელოთ, ადამიანი მრავალწახნაგა ნაკვთია: ბევრნაირ და ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ან სულაც დაპირისპირებულ შეფასებას იმსახურებს. ნუ დავუკარგავთ ამას და წმინდანის ხატად ან, როგორც ამბობენ, ქვაზე დახატულ ეშმაკად ნუ ვაქცევთ ადამიანს...

გახსოვთ, ხმამაღლა წარმოთქმული შეკითხვა: ნეტა რომელი ებრაელი იძლევა უპროცენტო სესხსო? — ამ შეკითხვის ავტორი რომელიმე რიგითი ხეპრე კი არ იყო, არამედ მაჟორიტართა ფრაქციის თავმჯდომარე **ბესო ჯუღელი**. და თუ დემოკრატიული ქვეყნის პარლამენტარი ნაცისტურ გამონათქვამებს უშვებს, რატომ უნდა გვიკვირდეს, თუ ლიბერალური ტელევიზიის ხელმძღვანელი ფულს დაჰხარბდა? განა ორივენი ერთი და იმავე ფარისეველი და უპრინციპო საზოგადოების შვილები არ არიან?

**"მაგრამ ბექაური?"** — გვეკითხება ეკა კვესიტაძე. რა, ბექაური? — არც არაფერი. ათასგზის შანტაჟისტი რომ იყოს შალვა რამიშვილი, კობა ბექაური საქართველოს ისტორიაში მხოლოდ მისი წყალობით თუ შევა. როგორც ჰეროსტრატე შეიძლება არა (ერთობ დიდი პატივი იქნება), მაგრამ ბევრი უფრო მშვიდობიანი მაგალითიც ვიცით — თუნდაც ის არისტოკრატი ქალები, რომელთაც ბეთჰოვენი უძღვნიდა თავის სონატებს. ასეთია ცხოვრების ულმობელი ასიმეტრია: ვინც ამქვეყნიურს იმკის, მას მალევე ივიწყებენ, ვინც ღირებულს ქმნის, მწარე სასმისიც უნდა შესვას. დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად აქ და ახლა ვერ გავარკვევთ...

ჩვენი საქმე სხვაგვარია და სხვაგან ძევს ჩვენი მოვალეობის ტვირთი. ამ მხრივ, არ შემიძლია არ აღვნიშნო 27 აგვისტოს მოვლენების გარშემო ატეხილი დისკუსიის ერთი საგულისხმო თვისება: მეტად ნიშანდობლივად გაიჟღერა ერთმა სიტყვამ — ცდუნება. ეს სიტყვა გავიგონეთ ჩვენი უფროსი სოფისტის, **ლევან ბერძენიშვილის** პირიდან: **"ბექაურმა აცდუნა რამიშვილი"**. იგივე სიტყვა წარმოთქვა ჩვენი რევოლუციის რობესპიერმა, **გიგა ბოკერიამ**, რომლის თანახმად ჟურნალისტებმა ვერ გაუძლეს ხალხის წინაშე კეკლუცობის ცდუნებას და ხელისუფლების კრიტიკისათვის გამოიყენეს მომხდარი.

მაგრამ იქ, სადაც რელიგიური ტერმინოლოგია ეურთდება სახელმწიფოებრივი ქმედებების შეფასებას, იბადება ავტორიტარიზმი. რატომ? — სულ ადვილია, მოცემული ორი მაგალითი სრულიად ამოწურავს ამისათვის საჭირო პირობებს. ავტორიტარიზმი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მორალის პრიმატს კანონზე, რადგან ავტორიტარული რეჟიმის განსახორციელებლად საჭიროა, რომ იურიდიული სფერო მაქსიმალურად არაფორმალიზებული იყოს. სწორედ ამას გვიჩვენებს ლევან ბერძენიშვილის გამოთქმა, რომელიც ირიბად და არაცხადად მოითხოვს, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში გაითვალისწინოს მეტაიურიდიული კატეგორია — "ცდუნება".

მეორე მხრივ, ავტორიტარიზმი წარმოუდგენელია პერმანენტული იდეოლოგიური ბრძოლის გარეშე. ამ ბრძოლის სულისკვეთება უნდა ჩაენერგოს საზოგადოებას და მის ატმოსფეროში უნდა წარიმართოს ყოველი მოქალაქის ცხოვრება. თუმცა შეკითხვა მაინც ჩნდება: ნეტა რომელი 1793 წელი გვიდგას ახლა, ჟურნალისტებსა და საკუთარ კოლეგებს მაინცდამაინც რკინის ამტანობა მოვთხოვოთ? ნეტა რომელი უმაღლესი იდეალების მისაღწევად უნდა "გავუძლოთ" ბ-ნი ბოკერიას მიერ ჩვენს რევოლუციურ კატეხიზმოში შეტანილ "ცდუნებებს" — **კირკიტაძე** ხომ უკვე გმირია და ახლა ბექაურიც უნდა ამოუდგეს გვერდში? ეგზომი სიმტკიცე და სასამართლოს რეფორმა კი დღემდე მოიკოჭლებს — ეს როგორღა ავხსნათ? განათლების რეფორმისაგან განსხვავებით, ამას იდიოტი მოწინააღმდეგეები მაინც არ ეყოლებოდა, მაგრამ ვერ გაქაჩეთ, ვერ გაქაჩეთ, ბიჭებო, და ახლა ყველა რევოლუციონერთა ჩვეულ გზას დაადექით: სიმტკიცესა და შეუმცდარობას ითხოვთ.

გროშია ამის ფასი, სანამ მოსამართლე (არ დაგავიწყდეთ, რომ პროცესი მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია) გადაწყვეტილების მისაღებად ორი წუთის მაგიერ ხუთ საათს ფიქრობს; სანამ მეორე მოსამართლე ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს და პროკურორთან ერთად თვითონ არღვევს იმ პირობას, რომლის დასაცავად ციხეში აყურყუტებს რამიშვილსა და კოხრეიძეს. აბა, დაუფიქრდით, განა ამ ეტაპზე მოსამართლისა და ბრალმდებლის მიერ მუდმივი მსჯელობა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შესახებ იგივე არაა, რის ასარიდებლად საპყრობილეში დატოვეს განსასჯელები? — ანუ გამოძიების მსვლელობასა და მოწმეებზე წინასწარი უარყოფითი გავლენა.

კიდევ კარგი, ქართული სასამართლო უბრალოდ ბალაგანია, რომელშიც უბრალო წესრიგის დამყარებასაც ვერავინ ახერხებს. ამის უნარი რომ ჰქონდეთ ალბათ გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდით. ან იქნებ უკეთესში? ყოველ შემთხვევაში, ლევან ბერძენიშვილის სოფისტობას ან გიგა ბოკერიას რობესპიერობას რომ რაიმე ნამდვილი ღირებულება ჰქონდეს, იქნებ ლიბერალური ფრთის მოღვაწეებიც უფრო სერიოზული გამოცდის წინაშე დამდგარიყვნენ და საიდანღაც მოფხეკილი სახსრებით გახსნილი ტელეკომპანიის ეთერში მანჭვა-გრეხის იმედზეც არ ყოფილიყო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დანატრებული ქართველობა. მაგრამ არც სოფისტები გვიგვარგა, არც რობესპიერები და, შესაბამისად, არც ლიბერალი ჟურნალისტები.

ამ უკანასკნელებთან, კონკრეტულად კი შალვა რამიშვილთან ერთი კოლეგიალური პრეტენზია მაქვს: ცოტა მეტხანს რომ ეყურებინა "იმედისათვის", ასეთ დღეში არ ჩავარდებოდა. ის მაინც ეცოდინებოდა, რას წარმოადგენს ჩვენი ხელისუფლება. ხომ გახსოვთ, ვისი ხმა წარმოთქვამს დღენიადაგ იმედის ეთერში ერთ სულელურ, მაგრამ, როგორც ეტყობა, დღევანდელობის ადეკვატურ წინადადებას: **"მათი მიზნები ამართლებენ მათ საშუალებებს"**. ასეა, ბატონო, ამჯერად სულ ახლოს ჩაგვიქროლა მართლმსაჯულების ცეცხლმა და მახვილმა, მხოლოდ ოდნავ შეგვეტრუსა ბარაქიანად დადებული მაკიაჟი. მომავალ ჯერზე კი რა იქნება? — ვინ იცის...

## საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

**გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.**

**ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:**

**დელისის ფილიალი**
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge
**სადგურის ფილიალი**
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge
**გლდანის ფილიალი**
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

**სამტრედიის ფილიალი**
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

**ზუგდიდის ფილიალი**
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2**
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3**
თბილისი, ფალიაშვილისი ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2**
თბილისი,დ. ალმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**თელავის სერვისცენტრი**
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

**გორის სერვისცენტრი**
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

**ზუგდიდის სერვისცენტრი**
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
**რუსთავის სერვისცენტრი**
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge



## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 23 აგვისტოს, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება 3(სამი) მაღალი გამვლადობის "4X4" მსუბუქი ავტომანქანის ღია ტენდერის საშუალებით შესყიდვას, მეცხრე პუნქტის პირველი აბზაცი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) სატენდერო დოკუმენტაციის მიღება(ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 20 სექტემბრის 1000 საათიდან 2005 წლის 21 სექტემბრის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

*სატენდერო კომისია*


# ცივილიზაციათა შეხლა საქართველოში

პირველი გვერდიდან

ანალოგიური და უფრო მკვახე "შეძახილები" თუ "შეკივლებები" - სხვაგვარად პუბლიკაციათა ტონს ვერც დაახასიათებ - იბეჭდება "ასავალ-დასავალსა" და Georgian Times-ში. რომ არა ეს პუბლიკაციები, ასავალ-დასავალის არსებობა ნაკლებად გამახსენდებოდა. ეს გაზეთი დარჩებოდა ჩემთვის წარსულის კურიოზად, რომლის სახელი, თუ გახსოვთ, პირველ ქართულ საშინელებათა სერიალში - "სახლი ძველ უბანში" - გაისმოდა ხოლმე მორიგი საშინელების მოახლოვების ფონად. რაც შეეხება Georgian Times-ს, ამ გაზეთს, სამართლიანობა მოითხოვს, Заря Востока ერქვას. ან რაიმე ისეთი, რაც თანამედროვე რუსი ნაციონალისტების და გეოპოლიტიკოსების თვითდასახელებებს მოგვაგონებდა. სულისკვეთება ამ გაზეთისა და რუსეთის წითელ-ყავისფერი წრეებისა ანალოგიურია.

არსებითად, ეს ადამიანები, და კიდევ სხვები, რომელთაგანაც ზოგიერთი მოძრაობა "წინ საქართველოს" ფრთებქვეშაა, ზოგიც ლეიბორისტებთან იძებნება, და რომელთაც ნაწილობრივი გულშემატკივრები "ახალ მემარჯვენეებშიც" დრო და დრო უჩნდებათ ხოლმე, ებრძვიან ლიბერალიზმს. ამ ტერმინს შეიძლება ბევრი განმარტება მოვუძებნოთ და თუ პოლიტოლოგიურ და პოლიტეკონომიურ წიაღსვლებში გადავალთ - მითუმეტეს. მაგრამ ფართო, მსოფლმხედველობრივი გაგებით, ლიბერალიზმი ევროპული და ამერიკული, სრულიად დასავლური ცივილიზაციის საფუძველია. იგი გულისხმობს დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა დაცვას, უმცირესობის (პოლიტიკურის, რელიგიურის, სოციალურის) უფლებების დასაცავად სპეციალური ინსტიტუტებისა თუ პროცედურების შემოღებას. იგი ასევე ეყრდნობა კერძო საკუთრების (მათ შორის მიწაზეც) პრინციპებს. შემთხვევითი არაა, რომ დასავლურ დემოკრატიულ სახელმწიფოებს მკვლევარებიც და პოლიტიკოსებიც ლიბერალურ-დემოკრატიებს უწოდებენ.

ჯორჯ სოროსმა, ფინანსისტმა და მეცენატმა, ღია საზოგადოების ათეულობით ეროვნული ფონდებისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის დაარსებას ერთი მიზნით შეუწყო ხელი - დახმარებოდა ათასგვარი ფორმის დიქტატურებიდან, ანუ დახურული საზოგადოებებიდან, ლიბერალურ დემოკრატიაზე, ანუ ღია საზოგადოების ფორმაზე გადასვლაში სამხრეთ აფრიკელებს, ინდონეზიელებს, უნგრელებს, რუსებსა თუ... ქართველებს.

მავანს აინტერესებს ხოლმე - რატომ?

იმიტომ, რომ დახურული და ღია საზოგადოებების ცნებები, რომელიც ფილოსოფოსმა და მეცნიერებათმცოდნემ, კარლ პოპერმა შემოიღო, არსებითად დიქტატურების და ლიბერალური დემოკრატიების სინონიმებია. დემოკრატიის, თანასწორობის და ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა კი უაღრესად კეთილშობილური საქმეა.

იმიტომ, რომ ამ ადამიანმა, როგორც მეტად ჭკვიანმა ფინანსისტმა, რომელმაც უზარმაზარი ქონება დააგროვა არა ძარცვით, კორუფციული გარიგებებით, სახელმწიფო ფონდებისა და საკუთრების სრულიად უკანონო მითვისებით, არამედ საბაზრო ეკონომიკის თამაშის წესებით და თავის სამოქმედო ასპარეზზე არსებული კანონმდებლობების გამოყენებით, კარგად იცის თავისუფალი მეწარმეობის დემოკრატიისაგან გაუმიჯნავობის ფასი.

იმიტომ, რომ მან ისიც იცის, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულია დღეს სამყარო და თუ მსოფლიოს თუნდაც მიყრუებულ წერტილებში სიღარიბე და სიძულვილი ყვავის, ადამიანის უფლებები, ადამიანთა კეთილდღეობა არც დემოკრატიის ციტადელებში იქნება უპირობოდ დაცული.

მეტიც, ჯორჯ სოროსმა, რომელმაც ქონება საბაზრო ეკონომიკის პრინციპების კარგი ცოდნით და შესაბამის სამართლებრივ გარემოში მოქმედებით დააგროვა, დაინახა ისიც, რომ ბაზრის "უხილავ ხელს" კიდევ სჭირდება რაღაც, რათა სოციალური სტაბილობა და სამართლიანობა იქნას უზრუნველყოფილი. ეს "რაღაც", მის კონკრეტულ ქმედებებსა თუ მოთხოვნებში ითარგმნება, როგორც განვითარებადი ქვეყნების დასავლეთელ კრედიტორთა კონტროლი, ვალების ჩამოწერა, და ისევ, განვითარებადი ქვეყნების და მათში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერა.

ანუ, ლიბერალიზმის წარმომადგენელი და მხარდამჭერი, ჯორჯ სოროსი, არ უჭერს მხარს კლასიკურ ეკონომიკურ ლიბერალიზმს, საბაზრო პრინციპების განუხრელ ბატონობას, რადგან ამ პრინციპების უპირობო ბატონობისას ღარიბი, განვითარებადი საზოგადოებები ზარალობენ. ასეთ მიდგომას იგი სოციალურ დარვინიზმს ადარებს, რომლის თანახმადაც უძლიერესი უნდა გადარჩეს.

რადგან ამგვარი "ჯუნგლის კანონი" თავად ლიბერალიზმის არსის, კერძოდ კი უმცირესობის (ანუ სუსტის) ინტერესთა დაცვის საწინააღმდეგოა, შესაბამისად, თანამედროვე ლიბერალის ხედვით სუსტს (ჩვენნაირ ქვეყანას) ძლიერისაგან (განვითარებული დასავლეთისაგან) უნდა მიეცეს მაქსიმალურად შეღავათიანი დახმარება. არსებითად, ჯორჯ სოროსის დაფუძნებული ღია საზოგადოების ინსტიტუტი სწორედ ამას ახორციელებს. მაგრამ იგი კერძო, არასამთავრობო ინსტიტუტია. მას მაგალითის მიცემა უფრო შეუძლია, ვიდრე ჩვენნაირი ქვეყნების ყველა პრობლემის გადაწყვეტა. ამ უკანასკნელისათვის მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტების, სახელმწიფო დონორებისა და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევაა საჭირო.

მაგრამ ეს ყველაფერი ერთი პირობით; თუ ქვეყანა, რომელსაც დახმარება სჭირდება, ღია საზოგადოების პრინციპებს აღიარებს და დაიცავს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მთავრობის მხრიდან ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა და დიქტატურის არდაშვება, კორუფციასთან ბრძოლა, სამშვიდობო პოლიტიკა.

ასეთია ჯორჯ სოროსის და მისი ინსტიტუტის პრინციპები საერთაშორისო პოლიტიკასა თუ ეკონომიკურ-ფინანსურ ურთიერთობებთან მიმართებაში. ამ პრინციპთა თანახმად, საბაზრო ეკონომიკა იზღუდება იმ თვალსაზრისით, რომ სუსტი ეკონომიკები ხვდებიან პრივილეგირებულ რეჟიმში, თუ მათზე პასუხისმგებელი მთავრობები არაკორუმპირებულია და საზოგადოების ყველა ფენისა თუ სექტორისადმი ანგარიშვალდებული.

არის თუ არა ასეთი მიდგომა განვითარებადი ქვეყნის "დაპყრობის", ადგილობრივი ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფის, მისი კულტურული გამოშიგნვის ტოლფასი, რასაც მავანი უკიჟინებს სოროსს თუ მის მიერ დაარსებულ ეროვნულ ფონდებს?

თუ ვინმეს მაინც მიაჩნია, რომ დიახაც, სოროსის და მსგავსი მრწამსის მქონე სხვა ადამიანებისა თუ ინსტიტუტების ჭეშმარიტი განზრახვა ზემოთნახსენებ ლამაზ საბურველში გახვეული ბოროტებაა, მაშინ იგივე ბრალდება უნდა წაუყენოს შეერთებული შტატების მთავრობის სიღარიბის დაძლევასა და განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტების MCC-ს, USAID-ს პროგრამებს. იგივე უნდა უკიჟინოს მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდს და ეგებ უფრო ძალუმადაც, რადგანაც ამ უკანასკნელის რეფორმას - დახმარების მიმღები ქვეყნების სასარგებლოდ - ჯორჯ სოროსიც ითხოვს. მეტიც, დასადანაშაულებელია გაეროს და ევროკავშირის ამჟამინდელი თუ სამომავლო დახმარების ყოველი პროგრამა. უარსაყოფია ბრიტანული, შვეიცარული, გერმანული, შვედური თუ სხვა ნაციონალური განვითარების პროგრამები. ასე რომ, თანამიმდევრულობისათვის, ჩვენმა ოპონენტებმა, ასევე საჯაროდ უნდა დაგმონ ყველა და ყველაფერი, რაც საქართველოში ევროპულ, ამერიკულ და საერთოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობას უკავშირდება; ყველა ეს ინსტიტუტი ხომ მრავალჯერ უფრო მეტ თანხას ხარჯავდა და ხარჯავს საქართველოს დემოკრატიზაციისათვის, ჩვენში კანონის უზენაესობისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისათვის. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ სოროსის ფონდებიდან წამოსული, დაახლოებით 3 მილიონი დოლარის ოდენობის წლიური დახმარება თავად ქართველთა მიერ ნაწილდება, მათსავე მიერ შერჩეული კონკურსებითა თუ სხვა პროცედურებით.

ანუ ისინი, ვინც არჩვაძის რაზმეულისავის "სოროსის ხელისბიჭებია", საზღვრავდნენ და საზღვრავენ, რომ მაგალითად ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე 2005 წელს გამოიყო დაახლოებით 70 000 აშშ დოლარი, გალში მაცხოვრებელთათვის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად 210 000 აშშ დოლარი. პარალელურად მიმდინარეობს რეგიონებში მაცხოვრებელ ქალთა ინიციატივების წახალისება - სოფელში წყლის გაყვანიდან დაწყებული და ძალადობის საწინააღმდეგო ქსელის ფორმირებით დასრულებული.

შეიძლება ეს ზღვაში წვეთია. ისევე, როგორც პოლიციის აკადემიაში მოქალაქეებთან ცივილიზებული მოპყრობის კურსების და გაჭირვებული მოსახლეობისათვის უფასო ადვოკატურის ინსტიტუტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი რამოდენიმე ათეული ათასი დოლარი. მაგრამ ვინც იტყვის, რომ ეს შხამის წვეთია... მაპატიეთ, მაგრამ თავადაა შხამით აღვსილი.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" - სოროსის ფონდი - წელს დაეხმარა რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციისა და შესაბამისი კანონპროექტების შექმნაში. ხელისუფლებას ამ კონცეფციაზე არა აქვს ცალსახად დადებითი აზრი. ფონდი დაეხმარა სტუდია "რეპორტიორს" საგამოძიებო ჟურნალისტიკის დარგში და ისევ, ხელისუფლების რიგი წარმომადგენლები ამ სტუდიის სიუჟეტებს ტენდენციურად თვლიან. ასეთ ფაქტებზე დაყრდნობით, ან იმის გამო, რომ ფონდის აღმასრულებელ საბჭოს 2004 წლიდან თინიკო ხიდაშელი თავმჯდომარეობს, "ასავალ დასავალის" თუ Georgian Times-ის (ამ შემთხვევაში უფრო მეტ სიზუსტეს ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა) სტუმარი გურამ შარაძე სოროსის მორიგი შეთქმულებით ხსნის. თურმე ამ ადამიანს არ მოსწონს სააკაშვილის "მასონობის" დონე და მისი ჩანაცვლება განუზრახავს.

ის, რომ პარალელურად ფონდი მხარს უჭერს ზაქარია ქუცნაშვილის (გემახსოვრებათ ყოფილი დეპუტატი რჩეულიშვილის სოციალისტური პარტიიდან) მედია პროექტს; ან რომ ფონდისავე დახმარებით თავისუფლების ინსტიტუტი ამზადებს ტრენინგის მასალებს მენეჯმენტში სასკოლო საბჭოებისათვის, შარაძის მსგავსი, შეთქმულების თეორიის აპოლოგეტებისათვის ალბათ ნიღაბია, ან ბალანსი - რა იცი, რა მოხდება. რუსებს აქვთ კარგი გამოთქმა - каждый понимает по мере своей испорченности. თუმცა, რუსულ თემაზე ქვემოთ.

აქ კი ვიტყვი, რომ საქმე ბევრად უფრო მარტივია. შარაძისა თუ არჩვაძისაგან განსხვავებით, ფონდს (ისევე როგორც მის დამფუძნებელს) სჯერა, რომ საყოველთაო ჭეშმარიტების მონოპოლისტი ადამიანებსა და საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის არავინაა. ასევე გვჯერა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატია სიტყვის და, კანონის ფარგლებში, მოქმედების თავისუფლებას უნდა ემყარებოდეს. შესაბამისად, ფონდი არჩევანს აკეთებს არა პოლიტიკური სიმპათიებით, არამედ კონკრეტული პროექტის საზოგადოებრივი სარგებლიანობიდან გამომდინარე.

ესაა ლიბერალურ დემოკრატიული ცივილიზაციის ანუ ღია საზოგადოების არსი. იგი არანაირ ეროვნულ კულტურებს არ ებრძვის. უბრალოდ, ცდილობს, ადამიანებს შეუქმნას შესაძლებლობათა გამოვლენის, განვითარების საფუძველი. განვითარება კი აზრის და მოქმედების თავისუფლებას ითხოვს.

არჩვაძე და შარაძე [illegible] არ უნდა იყვნენ ისტორიასთან და უნდა ახსოვდეთ, რომ [illegible] რუსულ-კომუნისტური, იტალიურ-ფაშისტური თუ ესპანურ-ფრანკისტულ-ნაციონალისტური - ნაცისტური. [illegible]

მაგრამ ალბათ საქართველოს სოროსზე, ფონდზე თუ ლიბერალურ დემოკრატიაზე საუბარი. [illegible]

რამდენიმე წლის წინ სამუელ ჰანტინგტონი წერდა, რომ მსოფლიო ცივილიზაციათა შეხლის ფაზაში შედის. მის შესაბამის წიგნს კრიტიკა არ დაკლებია. თუმცა, 11 სექტემბრის ტერაქტმა და შემდგომმა მოვლენებმა ეგებ კრიტიკოსებიც ჩააფიქრა. მაგრამ ჰანტინგტონი, ჩემი აზრით, ერთ რამეში მაინც ცდებოდა. ცივილიზაციათა საზღვრები გეოგრაფიული არაა. ისინი არ იყოფა პროტესტანტული, კათოლიკური, მართლმადიდებლური, ისლამური და ბუდისტური ქვეყნების მიხედვით. ცივილიზაციათა შეხლა ყოველი ეროვნული, განსაკუთრებით განვითარებადი საზოგადოების შიგნითაა. ეს შეხლა ეგებ ზოგიერთი ჩვენთაგანის გონებაშიც მიმდინარეობს. იბრძვის კი, არსებითად ორი ცნობიერება, ღირებულებათა სისტემა, პარადიგმა: ერთისათვის ადამიანი, ინდივიდი ღვთის ხატის დარია და დამოუკიდებელი ნებითაა დაჯილდოვებული. შესაბამისად, მას თავისუფლება ჰაერივით სჭირდება. ამისათვის იგი უნდა აღიარებდეს სხვათა იგივეობრივ უფლებასაც და სახელმწიფოც, კანონიც სხვა არაფერს უნდა აკეთებდეს, თუ არა მოქალაქეთა თავისუფლებების დაცვა-შეჯერებას. მეორეთათვის კი ადამიანი ან ნაციონალური იდეის მსახური-ჭანჭიკი უნდა იყოს, ან ვულგარულად გაგებული რელიგიურის, ანდაც გეოპოლიტიკურის. და რაც მთავარია, იგი თავად კი არ უნდა მიდიოდეს ამა თუ იმ იდეამდე, არამედ უსიტყვოდ უნდა უჯერებდეს ხელისუფალთ, თუ ხელისუფალნი იგივე "დიადი" იდეის გამომხატავნი არიან, თუ არა და ამ იდეათა მატარებელ არაფორმალურ ლიდერებს. მე პირადად ასეთი ლოგიკა არა მხოლოდ ანტიდემოკრატიული მგონია, არამედ ანტიქრისტიანულიც. თქვენ?

ჩვენს შემთხვევაში ამ ორ ცივილიზაციას კონკრეტული ფორმები აქვს და კონკრეტული პერსონაჟები განასახიერებენ. ერთ მხარეს დიახაც დგას სოროსის ფონდი. არა როგორც ლიდერი, არამედ როგორც პარტნიორი ათეულობით ინსტიტუტისა და ათასობით ადამიანის, ვისთვისაც დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კორუფციის დამღუპველობა და კანონის უზენაესობა ლიტონი სიტყვები არაა; ვისაც საქართველო დემოკრატიული სამყაროს ღირსეულ პარტნიორად წარმოუდგენია და არა თავის თავში ჩაკეტილ, ეჭვიან და ქრონიკულად ღარიბ ქვეყნად. ისევ ისტორიას თუ მივუბრუნდებით, ასეთი ქვეყნები, განსაკუთრებით პატარები, აუცილებლად იღებენ იმას, რისიც თითქოს უნდა ეშინოდეთ - შიდა თუ გარე დიქტატს. მეორე მხარეს კი ისინი დგანან, ვისაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ქ-ნი მანანა არჩვაძე ახმოვანებს.

ეს რომ მხოლოდ 50-70 მყვირალა ადამიანი იყოს, ან თუნდაც ორიოდე საეჭვო რეპუტაციის გაზეთი, ალბათ არც ნერვიულობად და არც ამ სტატიის დაწერად ეღირებოდა. მაგრამ ამ ყვირილის უკან ნამდვილად დგას არც თუ სუსტი, მეორე ცივილიზაცია. დავარქვათ მას პირობითად არალიბერალური. იგი თავისი შეუწყნარებელი ბუნებით, "მარტივი" და ცალსახა ბრალდებებით, განტევების ვაცთა "აღმოჩენებით", აცდუნებს ათეულ ათასობით ჩვენს თანამემამულეს და მათში აღვიძებს ეჭვს დასავლური დემოკრატიისადმი ღიად თუ ფარულად, ნებსით თუ უნებლიედ, სრულად თუ ნაწილობრივ. ამავე ანტიდასავლურ ცივილიზაციას, არა იმდენად იდეოლოგიური, რამდენადაც პრაგმატული მოსაზრებებით, უერთდება ბევრი იმათგანი, ვინც ცხოვრების სახსარს კორუფციით და ორგანიზებული დამნაშავეობით შოულობდა და შოულობს. ეს ხდება ორი მიზეზის გამო: 1. ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, თუ ისინი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, კანონის უზენაესობას უზრუნველყოფს. ეს კი ზემოთნახსენები კატეგორიის ადამიანთათვის სერიოზული საფრთხეა; 2. ნათქვამია, რომ პატრიოტიზმი (დავამატებდი გარეგნულ ეკლესიურობასაც) ბევრი თაღლითის ბოლო თავშესაფარია. სხვაგვარად მოაზროვნეთაგან მტრის ხატის შექმნით ხომ საკუთარი ცოდვები შეიძლება მიაჩუმათო.

არსებობს კიდევ ერთი, ამჯერად უცხოური, ძალა საქართველოში არალიბერალური ცივილიზაციის ხელშეწყობისათვის: რუსული იმპერიალიზმის ის წარმომადგენლები, რომელნიც რუსული კრიმინალის, სპეცსამსახუ-

რების თუ მათი კოოპერაციით შექმნილი ბიზნეს სტრუქტურების შემეცნებით ცდილობენ საქართველოში გავლენის შენარჩუნება-გაზრდას. [illegible] რადგან არალიბერა-

ლური, ტოტალიტარიზმის ნანგრევებზე მოსაზრდოვე ცივილიზაციის მომხრეებს 1990-იანი წლებიდან საქართველოში მოქმედება შენიღბულად უხდებათ, ისინიც ხმარობენ სიტყვა დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, ახსენებენ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს... მაგრამ ის იდეები, რომლის ქადაგებაც ხდება მათ მიერ, სწორედ დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, იმავე ჰააგის თუ სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოების უარისმყოფელია.

როგორც ეს ტოტალიტარულ პროპაგანდას ჩვევია, თავის სიღრმისეულ სააზროვნო წყობას არალიბერალები, არც მეტი არც ნაკლები, ლიბერალური დემოკრატიის მომხრეებს მიაწერენ. არალიბერალური ცივილიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ (დასარწმუნებლად წაიკითხეთ ხოლმე "ასავალ-დასავალი" და Georgian Times-ი. გაეცანით "ალიას" თუ "ახალი თაობის", ისევე როგორც ბოლო დროს მომრავლებული ქართული რელიგიური თუ გასართობი ხასიათის ჟურნალების ზოგიერთ პუბლიკაციებს), რომ მსოფლიოს მართვაზე პრეტენზია აქვს არაფორმალურ, შეთქმულებითი ხასიათის ჯგუფს და დასავლეთიდან მომდინარე დემოკრატიული რიტორიკა ამ ჯგუფის მსოფლიო ძალაუფლებისაკენ ლტოლვას ნიღბავს. ამგვარ იდეათა მატარებლების ყველაზე რადიკალური ნაწილისათვის ამ ჰიპოთეტური ჯგუფის წევრები, არსებითად, სატანის მსახურნი არიან. რაღა თქმა უნდა, მათი უპირველესი სამიზნე მართლმადიდებელი ერებია. ზოგიერთს ისიც სჯერა, რომ სატანის მსახურთ ადგილობრივი რელიგიური სიწმინდეების მოტაცება უნდათ.

საქართველო რომ გადარჩეს, ქადაგებენ ჩვენში აღმოუფხვრელი ტოტალიტარიზმის ნებსითი თუ უნებური წარმომადგენლები, მისი ღვთივკურთხეული შვილები (ღვთივკურთხეულობის დასადასტურებლად კი ერთადერთი, ამ ადამიანთა ნათქვამის უპირობო დაჯერება და საეკლესიო რიტუალების ხშირი შესრულებაა საჭირო) უმჯობესია, განერიდონ ყოველივეს, რაც დასავლურ ცივილიზაციასთან ასოცირდება. მეტიც - ყოველივე ის, რაც არსებითია ევროპისა და შეერთებული შტატებისათვის, კერძოდ სიტყვისა და სინდისის თავისუფლება, საზღვრების სიღიავე და ურთიერთობა განსხვავებულად მოაზროვნეებთან, არალიბერალთათვის მიუღებელი ხდება. ამიტომაც ქადაგებენ ისინი ქართული რელიგიური სიწმინდეების სხვა ქვეყნებში გამოფენის დაუშვებლობას, თუ იმავე სოროსის ფონდის ქვეყნიდან გაძევებას (როგორც ეს ბელორუსის თუ უზბეკეთის დიქტატორებმა განახორციელეს).

ასეთი რწმენა ფარსად აცხადებს დასავლური პოლიტიკური წრეების, დონორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფაქტებით დადასტურებულ განზრახულობებსა და საქმეებს. ასეთი რწმენა უარყოფს ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის თანამედროვე ცნებებსა და შეფასებებს, რადგან ვერც ერთი ამ დისციპლინათაგანი ვერ უშვებს, რომ მრავალსახოვან კაცობრიობას, მის ურთულეს სოციალურ ინსტიტუტებს შეთქმულთა ერთი ჯგუფი ოდესმე შეიძლება მართავდეს. სამაგიეროდ, ასეთი რწმენა ეყრდნობა ორ, თუმცა საკმაოდ ურთიერთდაკავშირებულ წყაროს.

ერთი აქედან რუსეთის იმპერიის ოხრანკის გულშემატკივრობით მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს შეთხზული და გავრცელებული "ებრაელ ბრძენთა ოქმებია", რომლის თანახმად სატანის მსახურ შეთქმულთა სულისკვეთება და ტრადიცია ებრაული ელიტის ერთი ნაწილის ვითომდა განზრახულობებზე აღმოცენდა. ასე გაჩნდა დღემდე პოპულარული მითი ებრაულ-მასონური შეთქმულების შესახებ, რასაც, სხვათა შორის, ებრაელთა მრავალგზისი რბევა, ბოლოს კი ევროპული ფაშიზმის აღმოცენება მოჰყვა. ჩანს, ისტორიის გაკვეთილები და მსგავსი პასკვილების მავნებლობის გამოაშკარავება არაფერს ეუბნება მავანს.

მეორეს მხრივ კი, როგორც ითქვა, ჩვენში ფესვგამდგარი ტოტალიტარული ცივილიზაციის წამქეზებლები და სიამოვნებით მომზირალნი თანამედროვე რუსი იმპერიალისტები და გეოპოლიტიკოსებია. თუმცა არის ჩვენი ტოტალიტარული ცივილიზაციის მესამე, თანამედროვე და სპეციფიკური ქართული [illegible] - ქართული ყოფითი ნაციონალიზმი, რომლის თანახმად "რაც კარგები ვართ - ქართველები ვართ".

დავუშვათ, რომ არა მხოლოდ სოროსი, არამედ ყველა დასავლური ინსტიტუტი [illegible]

ა) თუ ლიბერალურ-დემოკრატიული კანონის უზენაესობა უარიყოფა, ეს ნიშნავს, რომ ქართულ კულტურაში ფესვგადგმული ქურდული მორალი ისევ შეურყეველია. ესე იგი, ორგანიზებულ დამნაშავეობას იდეოლოგიური ორეოლი ენიჭება. საბოლოო ჯამში კი პოლიტიკურ მეცნიერებებში ცნობილი მაფიის მიერ დომინირებად სახელმწიფოს მივიღებთ.

ბ) თუ ლიბერალურ-დემოკრატიული გაგება ტოლერანტობისა, უმცირესობის უფლებათა დაცვისა უარყოფილი იქნა, ეს ნიშნავს, რომ გაგრძელდება გაუცხოვება საქართველოში მოსახლე ეთნიკურ ჯგუფებს, განსაკუთრებით კი ქართველებსა და ყველა დანარჩენს შორის. როდესაც არჩვაძის მომხრენი გაჰყვირიან, რომ რიგი პოლიტიკოსების თუ საზოგადოებრივი აქტივისტების ნაკლი მათი, თითქოსდა არაქართული წარმომავლობაა, რომ მათ გვარები აქვთ გადაკეთებული და ასე შემდეგ; როდესაც მსგავსი იდეებით თავშექცევა ახასიათებს ზოგიერთ პარლამენტარსაც; როდესაც ასავალ დასავალი, ელიზბარ ჯაველიძის სახით, მეზობელი ერის წმინდა საყდარის სახელს შეურაცხმყოფელი სიტყვათაწყობით რითმავს; ჩათვალეთ რომ ტერიტორიების დაკარგვის ჩვენი, შინაური საფუძველი გამყარდება.

გ) თუ ჩვენი ერთადერთი საგარეო პარტნიორი, იდეოლოგიური თანამოაზრე რუსული იმპერიალისტური და კლერიკალური წრე გახდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საუკეთესო შემთხვევაში 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის ანალოგით დამთავრდება ქართული დამოუკიდებლობის ექსპერიმენტი. არა, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას არ შეგვეცილებიან. პირიქით, მათ ჩვენი ეკლესიის ძალა და გავლენა დასჭირდებათ არსით რუსული, გარეგნულად კი სარწმუნოებრივი პროპაგანდისათვის. ტრაქტატის ანალოგია კი იმითაც იქნება გამართლებული, რომ კანონის უზენაესობის ნაკლებობა, ეთნიკური თუ სხვა სახის სოციალური კედლების აგება, ორგანიზებული დამნაშავეობით გამყარებული სოციალური იერარქია ფეოდალურ ეპოქას გაგვახსენებს. ოღონდ ახალი ფეოდალიზმი ბევრად უფრო უსამართლო იქნება ისტორიულ ანალოგთან შედარებით, რადგან იგი ეპოქის სულისკვეთებასაა სრულიად მოწყვეტილი - ისევე, როგორც არჩვაძის მომხრეთა ლოზუნგები.

ამ ორ ცივილიზაციას შორის საქართველოს ხელისუფლებამ არჩევანი პირველის სასარგებლოდ დააფიქსირა კონსტიტუციაში, რიგ კანონებში, დეკლარაციებსა თუ საერთაშორისო შეთანხმებებში. მაგრამ იმისათვის, რომ დემოკრატიულ სამყაროსთან თანასწორუფლებიანი ინტეგრირების განზრახვა ქაღალდზე არ დარჩეს, ხელისუფლების ყოველმა წარმომადგენელმა და მთელმა საზოგადოებამაც თავის გულსა და გონებაში უნდა გაიაზროს ალტერნატივები და საქმით მიიღოს ლიბერალურ-დემოკრატიული ცივილიზაცია. ეს ჯერჯერობით, მგონია რომ არ მომხდარა და საქართველო ისევ სერიოზული არჩევანის წინაშეა. მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობა თუ საგარეო პოლიტიკა ლიბერალიზმს არ მოიტანს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი ცივილიზაცია, რა ღირებულებათა სისტემა გაიმარჯვებს საქართველოში, თავად ქართულმა საზოგადოებამ, საქართველოს ხალხმა უნდა მიიღოს. არა მგონია, რომ პოზიციის არქონა და არგაჟღერება, სხვისი მოიმედოობოობისა თუ მოარული შეხედულების გამო, რომ "პოლიტიკა ბინძური საქმეა" და "ყველა დამნაშავეა", სწორი არჩევანი იყოს. ამ შემთხვევაში პოლიტიკა და მოქალაქეობა გადაჯაჭვულია და საქმე ჩვენი შვილების მომავალს ეხება.

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ დემოკრატიული ცივილიზაციის ქართულ რიგებში ყოველივე კარგადაა, რომ იქ არ არიან ანგარებიანი ადამიანები და რომ კანონის უზენაესობიდან გადახრები მათგან არ ხდება. ცხადია ისიც, რომ ზოგიერთ მოუთმენელ ლიბერალს ქართველი ერის შეყვანა ბედნიერ მომავალში, ასე ვთქვათ უკითხავად, ანუ საქართველოს დემოკრატიზაციის ფორმების და ვადების განხილვების გარეშე, საკუთარი შეხედულებებისამებრ სურს. ასევე არ შეიძლება თქმა, რომ მეორე ბანაკში ყველა თვალთმაქცია ან მოყვასისათვის ბოროტების მოსურნე. მაგრამ ვფიქრობ, სანამ ზოგიერთი დემოკრატი ხელისუფლების რიგებიდან, საბოლოოდ გაემიჯნება დემოკრატს ოპოზიციისაგან, მეტი ვიფიქროთ, რათა ეს გამიჯვნა მეორე ცივილიზაციის შესაძლებლობათა ზრდით არ დასრულდეს.

> საქართველო ისევ სერიოზული არჩევანის წინაშეა. მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობა თუ საგარეო პოლიტიკა ლიბერალიზმს არ მოიტანს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი ცივილიზაცია, რა ღირებულებათა სისტემა გაიმარჯვებს საქართველოში, თავად ქართულმა საზოგადოებამ, საქართველოს ხალხმა უნდა მიიღოს.

# ნიუ ორლეანი - ქალაქი-მოჩვენება

პირველი გვერდიდან

თუმცა, კრეიგის თქმით, ამის შემდეგაც კი ნაგავის მოგროვებისა და მშენებლობის მოსამზადებლად დამატებითი დრო იქნება საჭირო. დღემდე დაუდგენელია სტიქიური უბედურების დროს დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა, ნაწილი კი დღესაც ელოდება შველას და თავს მანსარდებსა და შენობა-ნაგებობების სახურავებს აფარებს. სენტ გებრიელის ციხის მორგში უკვე 2 000-მდე გვამია მიტანილი. აშშ-ს ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლის ქრეგ ვანდერვაგენის განცხადებით, ცხედრების გადმოსვენების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. ქალაქიდან ათი ათასობით ადამიანია ევაკუირებული ტექსასის, ტენესისა და სხვა შტატებში. ტექსასში უკვე 220 000 იძულებით გადაადგილებული პირია ევაკუირებული.

**"ამ მძიმე წუთებში ჩვენს მოქალაქეებს არ მივატოვებთ. ბევრი, შესაძლოა, განაწყენებულიც იყოს და დახმარების იმედიც გადაწურული ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ მართლაც უზარმაზარი ამოცანის გადაჭრა გვიწევს. ფედერალური მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა მაქსიმალურად აღმოუჩინოს ამერიკელ მოქალაქეებს დახმარება,"** - განცხადა ჯორჯ ბუშმა სტიქიით დაზარალებული რეგიონისთვის 10.5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების გამოყოფის შესახებ კანონპროექტზე ხელის მოწერისას. დღეს ჯორჯ ბუში ლუიზიანას მოინახულებს და ადგილზე გაეცნობა ვითარებას.

აშშ-ს "წითელი ჯვრის" ანგარიშის მიხედვით, 96 000-ზე მეტი დაზარალებული პირი 9 შტატშია ევაკუირებული.

პრეზიდენტ ბუშის განკარგულებით, ნიუ ორლეანში დარჩენილი მოსახლეობის სასწრაფოდ ევაკუაციის მიზნით, დამატებით 7 000 ჯარისკაცია გაგზავნილი, რადგან ქალაქში მობილიზებული სამაშველო ბრიგადები საქმეს უკვე ვეღარ აუდიან. სამაშველო ოპერაციებში, სპეციალური ბრიგადების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებული ძალების ნაწილები, გამოყენებული იყო 40 სამხედრო და სამოქალაქო ვერტმფრენი.

ექსპერტები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ მსხვერპლმა 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვს გადააჭარბოს. მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ ქალაქიდან პოლიციელებიც კი გარბიან. "ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, ამ დროისთვის, სხვადასხვა მიზეზით, უკვე 200-მდე პოლიციელმა სამსახურში გამოცხადებაზე უარი განაცხადა. ზოგმა მათგანმა სტრესს ვერ გაუძლო და ქალაქიდან გაიქცა, ზოგმა კი სახლი და ახლობლები დაკარგა. ბოლო მიზეზით, ორმა პოლიციელმა, მათ შორის, ქალაქის პოლიციის უფროსის თანაშემწემ ედვინ კომპასმა თავი მოიკლა. ნიუ ორლეანის პოლიციელთა თქმით, მათ რიგებში საერთო სულიერ დაცემას არასაკმარისმა თანადგომამ შეუწყო ხელი.

ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ სტიქიის შეტევას რამდენიმე დღეში დანაშაულებრივი მაჩვენებლის ზრდაც მოჰყვა.

**"თუ თავიდან ყველანი "კატრინას" შემოტევას ვებრძოდით და შემდეგ წყალდიდობისგან ერთმანეთის გადარჩენას ვცდილობდით, უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში მოროდიორების თავაშვებულობის მოწმენიც გავხდით,"** - ამბობს ერთ-ერთი ამერიკელი ფილიპ ჰორსტი.

როგორც ბრიტანული გაზეთი წერს, ყოველივე ამან შეუძლებელია, გავლენა არ იქონიოს აშშ-ს პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის რეიტინგზე. ბუშს ბევრი გულგრილობაში ადანაშაულებს; ბევრიც ხელისუფლებას საკმაოდ დაგვიანებული სამაშველო ოპერაციების გამო კიცხავს. თეთრმა სახლმა სტიქიური უბედურებებისგან თავდაცვაზე ხარჯები შეამცირა, ერაყის ომზე კი - გაზარდა. აშშ-ს პრეზიდენტს უკვე ისიც გაუხსენეს, რომ სანამ ნიუ ორლეანი წყალში იძირებოდა, ორი დღე-ღამის განმავლობაში იგი საკუთარ რანჩოზე დასვენებას განაგრძობდა. ნიუ ორლეანში ქარიშხლის მძვინვარებისა და შემდეგ უკვე წყალდიდობის დროს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი მშვიდად განაგრძობდა შვებულებაში ყოფნას, ხოლო სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა უბედურების დღეებში მანჰეტენის მაღაზიებში გაისეირნა და 7 ათას დოლარად ფეხსაცმელიც შეიძინა. **24 საათი**

# სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი 19 ოქტომბერს დაიწყება



ერაყის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, ქვეყნის ყოფილი დიქტატორის სასამართლო პროცესი 19 ოქტომბერს დაიწყება. სადამ ჰუსეინის გვერდით განსასჯელთა სკამებზე მისი უახლოესი პირებიც სხედან, რომლებიც 143 შიიტის მკვლელობის თანამონაწილეობაში არიან ბრალდებულნი. შიიტთა მასობრივი მკვლელობა ჰუსეინის მმართველობის დროს ბაღდადის ჩრდილოეთით, ქალაქ დუჟაილში 1982 წელს განხორციელდა.

სასამართლო პროცესზე ადვოკატთა ახალი შემადგენლობის წარმოდგენას ითხოვს სადამ ჰუსეინის ქალიშვილი რაგადი. მის წერილობით განცხადებაში ნათქვამია, რომ საქმეს ჩამოშორებულია ის 1 500 ადვოკატი, რომლებიც აქამდე იცავდნენ მამამისის უფლებებს. ჰუსეინის ქალიშვილის თქმით, ეს ადვოკატები არაკომპეტენტურნი იყვნენ და არცთუ ისე გონივრულ რჩევებს აძლევდნენ ყოფილ დიქტატორს.

**"მათი რჩევები ურთიერთგამომრიცხავი იყო**, - აღნიშნავს რაგად ჰუსეინი, - **ამიერიდან ერაყის ყოფილი პრეზიდენტის უფლებებს ადვოკატთა საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლები დაიცავენ,"** - ამბობს იგი. ჰუსეინების ოჯახის კონსულტანტის აბდელ ჰაკ ალანის თქმით, იურისტთა ახალ ჯგუფში წარმოდგენილნი იქნებიან როგორც ამერიკელი, ასევე - ევროპელი, აზიელი და არაბი ადვოკატები. კონსულტანტის განცხადებით, იურისტებს, პირველ რიგში, ბრალდებულთან უშუალოდ გასაუბრების უფლების მოპოვება მოუწევთ.

ერაყის ყოფილი დიქტატორი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულშია ბრალდებული. იმ შემთხვევაში, თუ მას დამნაშავედ ცნობენ, იგი, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სიკვდილით დაისჯება. თუმცა, საინტერესოა ისიც, რაც რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა თქვა - ასეთი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, იგი მასზე ხელს არ მოაწერს.

ჰუსეინის ქალიშვილი კი აღნიშნავს, რომ, პროცესის დაწყების პარალელურად, სასამართლოს შენობის წინ ეცდება, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით საზოგადოებამდე მიიტანოს ერაყის ყოფილი ლიდერის საქმე. **ბი-ბი-სი**

# ერაყი რეფერენდუმის მოლოდინში

ერაყის ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ქვეყანაში 15 ოქტომბერს გაიმართება. სუნიტების წინააღმდეგობის მიუხედავად, შიიტებს ახალი კონსტიტუციის პროექტის დამტკიცების იმედი აქვთ.

**"სუნიტები ვერ შეძლებენ 15 ოქტმობერს ერაყის ახალი კონსტიტუციის მიღებისათვის ხელის შეშლას. მათთვის რთული იქნება ამ პროექტის ჩაგდება, რადგან უმრავლესობას ისინი მხოლოდ ანბარის პროვინციაში წარმოადგენენ,"** - წერს ერაყულ გაზეთ "საბაჰ ალ-ჯედიდ"-ში ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი ღაზი ალ-იავარი, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი სუნიტური ტომის შეიხიცაა.

ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, კონსტიტუცია ვერ დამტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს არ დაუჭერს ერაყის მოსახლეობის ორი მესამედი. ქვეყანა კი 18 პროვინციისაგან შედგება.

სუნიტებს ახალი კონსტიტუციის პროექტში რამდენიმე მუხლი არ მოსწონთ, რაც, მათი თქმით, ქვეყანას მომავალში გახლეჩის საფრთხის წინაშე დააყენებს. ამიტომ, სუნიტთა ლიდერები მოსახლეობას აქტიურად მოუწოდებენ, მხარი არ დაუჭირონ კონსტიტუციის შემოთავაზებულ ვარიანტს. სუნიტთა ძალისხმევის მიუხედავად, მათივე წარმომადგენელი ღაზი ალ-იავარი მიიჩნევს, რომ, კონსტიტუციის ჩაგდების მიზნით, ძალების მობილიზებას აზრი არ აქვს და ქვეყნისთვის უსარგებლოა. მისი აზრით, კონსტიტუციის პროექტის ჩაგდებაზე აქცენტის გაკეთების სანაცვლოდ, უფრო მომგებიანი იქნება, თუკი ის ძალები, რომლებსაც ერაყის ერთიანობის სჯერათ, ძალისხმევას 2005 წლის ბოლოსთვის საპარლამენტო არჩევნებზე მიმართავენ.

**"ძალების კონსოლიდაცია ქვეყანას საპარლამენტო არჩევნებში უფრო წაადგება. ეს ფრონტი წინ უნდა აღუდგეს კონფესიონალიზმსა და ნაციონალიზმს, რამაც, საბოლოო ჯამში, მართლაც შეიძლება ქვეყანა დანგრევის პირას მიიყვანოს,"** - აცხადებს ერაყის ვიცე-პრეზიდენტი.

ღაზი ალ-იავარის თქმით, მიმდინარე წლის 30 იანვარს ჩატარებული არჩევნების გამოცდილებამაც ცხადყო, რომ კოალიციაზე უარის თქმა წამგებიანია.

2003 წელს ჩამოგდებული სადამ ჰუსეინის რეჟიმის შემდეგ, პირველად ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში, დამაჯერებელი გამარჯვება შიიტებისა და ქურთების კოალიციამ მოიპოვა; სუნიტებმა კი 30 იანვრის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. **24 საათი**

## საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი მოწვევა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი,

სამედიცინო აღჭურვილობის, ავეჯის და საოფისე ავეჯის შესყიდვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის

კრედიტის N 3702 GE

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისთვის გაზეთ "Development Business"-ში (2002 წლის 30 ივნისის N 585, განახლებული 2005 წლის 16 იანვარს N646) შესყიდვებზე გამოქვეყნებული ზოგადი განაცხადის საფუძველზე.
2. საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან (IDA) პირველადი ჯანდაცვის განვითარების (PHCDP) პროექტის დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენება სამედიცინო აღჭურვილობის, ინსტრუმენტების, ავეჯისა და საოფისე ავეჯის შესაძენად პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის. კონტრაქტის N ICB/PHCDP/1.1/01, -/02, -/03/ და -/04
3. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სამედიცინო აღჭურვილობის, ინსტრუმენტების, ავეჯისა და საოფისე ავეჯის მიწოდებაზე. შესასყიდი აღჭურვილობა დაჯგუფებულია 4 კონტრაქტად და განკუთვნილია დასავლეთ საქართველოში (იმერეთისა და აჭარის რეგიონებში) განლაგებული პირველადი ჯანდაცვის 63 ამბულატორიის აღსაჭურვად. სატენდერო წინადადებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ერთი, ისევე ორი სამი და ოთხი კონტრაქტისათვის. შეფასება მოხდება კონტრაქტების მიხედვით.

   კონტრაქტი 1 სამედიცინო აპარატურა
   კონტრაქტი 2 სამედიცინო ინსტრუმენტები
   კონტრაქტი 3 სამედიცინო ავეჯი
   კონტრაქტი 4 საოფისე ავეჯი
4. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის (ტენდერის) პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს *"შესყიდვები IBRD სესხებითა და IDA კრედიტებით, გამოცემული 1995 წლის იანვარში, გადასინჯული 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში"* შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს ამ სახელმძღვანელოში განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
5. დაინტერესებულ უფლობემოსილ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და სატენდერო დუკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ 10:00-დან 17:30 საათამდე (შესვენება 13:00-დან 14:00-მდე) შაბათ-კვირის გარდა განცხადების მე-7-ე პუნქტში მითითებულ მისამართზე.
6. სატენდერო დოკუმეტაციის კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია წერილობითი მოთხოვნისა და 50 აშშ დოლარის (მონაწილეთათვის უცხოეთიდან) ან 92 ლარის (მონაწილეთათვის საქართველოდან) გადახდის შემდეგ. გადახდილი თანხა მონაწილეებს არ დაუბრუნდებათ. თანხა გადარიცხულ უნდა იქნას საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ანგარიშზე:

| [illegible] (USD) | [illegible] |
|---|---|
| Intermediary Bank: DRESDEN BANK AG, Frankfurt 2 main, Germany. Bank Beneficiary: Bank Republic Tbilisi, Georgia SWIFT: REPLGE22 ACC# 499/08 125 004 00/400 Beneficiary: Georgia Health and Social Projects' Implementation Center Account # 23418000189 | [illegible] 220101757 მიმღები: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი. [illegible] N 23408000189 |

მონაწილეებს საქართველოდან და მის ფარგლებს გარედან სატენდერო დოკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტით ზემოთხსენებული პროცედურების გავლის შემდეგ მათსავე ხარჯზე. სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება ამავე დოკუმენტების ნაბეჭდი ვერსიის ადრესატთან გაგზავნის შემდეგ.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტებით ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2005 წლის 13 ოქტომბრის 16:00 საათისა. სატენდერო დოკუმენტაციას უნდა ახლდეს საკონკურსო საბანკო გარანტია ა) პირველი კონტრაქტისთვის - 9000 (ცხრა ათასი) აშშ დოლარი, ბ) მეორე კონტრაქტისთვის 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი, გ) მესამე კონტრაქტისთვის 7500 (შვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარი და დ) მეოთხე კონტრაქტისთვის 6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარი ან მათი ეკვივალენტი თანხა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში საბანკო გარანტიის აღების დღისათვის დაფიქსირებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით. დაგვიანებით შემოსული წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 13 ოქტომბრის 16.00 საათზე ტენდერის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით თუ ისინი ამის სურვილს გამოთქვამენ.

მისამართი:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
ქ. თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34
ელ-ფოსტა: info@hpic.ge

ქართულ და ინგლისურ განცხადებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

## Georgia Health and Social Projects' Implementation Center Invitation for Bids

**Georgia**

**Primary Health Care Development (PHCD) Project**

Supply of Medical Equipment, Medical Instruments, Medical Furniture and Office furniture for Primary Health Care Facilities

Credit No: 3702-GE

1. This invitation for bids follows the general procurement notice for this project that appeared in Development Business, issue no. 585 of June 30, 2002, most recently updated on Jan 16 2005, Issue No. 646

2. Georgia has received a credit from the International Development Association toward the cost of Primary Health Care Development Project, and intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract for Supply of Medical Equipment, Medical Instruments, Medical Furniture and Office Furniture for Primary Health care Facilities. Contract No: ICB/PHCDP/1.1/01, -/02, -/03/ and -/04.

3. Georgia Health and Social Projects' Implementation Center (GHSPIC) now invites sealed bids from eligible bidders for Supply of items of furniture and equipment grouped in four contracts further described below. These items are required for equipping of 63 primary health care facilities located in Western Georgia (Adjara and Imereti Regions). Bids should be submitted for any one, several or all contracts and evaluation will be done contract-by-contract.

Contract 1: Medical Equipment
Contract 2: Medical Instruments
Contract 3: Medical Furniture
Contract 4: Office Furniture

4. Bidding will be conducted through the international competitive bidding procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits January 1995 (Revised January and August 1996, September 1997 and January 1999)*, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Georgia Health and Social Projects' Implementation Center and inspect the bidding documents at the address given below from 10:00 hours to 17:30 hours.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee USD 50 by suppliers abroad or GEL 92 within Georgia. The method of payment will be by bank transfer to the bank account of GHSPIC.

**USD Account**
Intermediary Bank: DRESDEN BANK AG, Frankfurt 2 main, Germany.
Bank Beneficiary: Bank Republic Tbilisi, Georgia
SWIFT: REPLGE22
ACC# 499/08 125 004 00/400
Beneficiary: Georgia Health and Social Projects' Implementation Center
Account # 23418000189

**GEL Account**
JSC Bank Republic 220101757
Beneficiary: Georgia Health and Social Projects' Implementation Center
Account # 23408000189

Upon request, the document will be sent by Courier Service at the recipient's expense. The electronic version of the bidding documents can be requested only after the hard copy is sent by the courier service, which is selected and paid by the recipient.

7. Bids must be delivered to the address below not later than October 13, 2005, at 16.00 hours. All bids must be accompanied by a bid security in the amount of USD 9'000 (nine thousand US Dollars) for contract 1, USD 5'000 (five thousand US Dollars) for contract 2, USD 7'500 (seven thousand five hundred US dollars) for contract 3 and USD 6'000 (six thousand US Dollars) for contract 4 or equivalent amounts in a freely convertible currency. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below on October 13, 2005, at 16:00 hours.

Georgia Health and Social Projects' Implementation Center.
Contact Person: Eka Ekizashvili, Office manager
Address: 23 Al. Kazbegi Ave, Building 2, 5th floor, Tbilisi -0160, Georgia.
Tel/Fax: +995-32 33-18-39
+995-32-33-19-39;
+995-32-33-19-34
E-Mail: info@hpic.ge

# ირანი აშშ-ს საერთაშორისო ორგანიზაციებზე ზეწოლაში ადანაშაულებს

მას შემდეგ, რაც აშშ-ს ხელისუფლებამ 7-9 სექტემბერს ნიუ-იორკში დაგეგმილ პარლამენტართა საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად ირანის მეჯლისის (პარლამენტის) წევრებზე ვიზების გაცემის თაობაზე აკრძალვის განკარგულება გასცა, ოფიციალურმა თეირანმა ვაშინგტონი საერთაშორისო ორგანიზაციებზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჰამიდ რეზა ასეფის განცხადებით, ოფიციალური ვაშინგტონი იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც სათაო ოფისები აშშ-ში აქვთ, პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად იყენებს.

**"ჩვენთვის მიუღებელია, რომ აშშ საერთაშორისო ორგანიზაციებს პოლიტიკური ზეწოლის განსახორციელებლად იყენებდეს,"** - ამბობს ასეფი.

მისი თქმით, ირანელ პარლამენტარებზე ვიზების გაუცემლობის გამო, ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ უკვე ოფიციალურად გამოხატა აშშ-ს ხელისუფლების მიმართ პროტესტი.

**"იმედი გვაქვს, რომ აშშ-ს ხელისუფლება თავის გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მაინც გადახედავს. გაერო-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე მაჰმუდ აჰმადინეჯადისთვისაც კი უარის თქმას ახსნა ნამდვილად არ მოეძებნება,"** - აღნიშნავს ირანელი დიპლომატი.

# ხანძარი პარიზის გარეუბანში

გუშინ პარიზის ქალაქგარეთ, მაღალსართულიან შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა და 15 სერიოზულად დაშავდა. სახანძრო სამსახურის წარმომადგენლის ცნობით, ხანძარი პარიზის სამხრეთ გარეუბანში მდებარე 18-სართულიან შენობაში გაჩნდა.

საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, მეხანძრეები ცეცხლს ადვილად გაუმკლავდნენ, თუმცა, გაჩენილი ბოლის გამო, ხანძარს სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. ხანძარი შენობის ჰოლში გაჩნდა. სტიქიის ლიკვიდირებას 200-მდე მეხანძრე ცდილობდა.

ხანძრის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. ხელისუფლებამ შემთხვევის გამოძიება დაიწყო. როგორც სააგენტო "ფრანს პრესი" წერს, უკვე დაკავებულია სამი ეჭვმიტანილი.

როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა ჟაკლუკ მარკსმა განაცხადა, შენობა 1970 წელს იყო აშენებული, ახლო წარსულში კი კორპუსში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა.

შეგახსენებთ, რომ აპრილიდან მოყოლებული ეს პარიზის საცხოვრებელ სახლებში გაჩენილი ხანძრის მეოთხე შემთხვევაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შენობაში არც ერთი ემიგრანტი არ ცხოვრობდა, როგორც ეს წინა ხანძრის შემთხვევებისას ხდებოდა.

